



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

31 წელი საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან

**საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის
სტრატეგიული
სამართალწარმოების
მიმოხილვა საქართველოს
საკონსტიტუციო
სასამართლოში**

31 წელი საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან

**საიას სტრატეგიული სამართალწარმოების
მიმოხილვა საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოში**

**თბილისი
2026**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ონიანი

ავტორი: გიორგი გოცირიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	6
ადამიანის ღირსების ხელშეშეუვალობა (მუხლი 9)	8
1. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)	8
2. ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ (N2/4/665,683, 2018)	8
3. ნოე კორსაკა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/19/1265,1318, 2020)	8
სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეშეუვალობის უფლებები (მუხლი 10)	10
4. ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/9/682, 2015)	10
თანასწორობის უფლება (მუხლი 11)	12
5. ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/2/534, 2013)	12
6. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)	13
7. როინ გაგაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (N1/11/629,652, 2017)	14
8. ირაკლი ჯულელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/1412, 2020)	15
9. ირაკლი მაჭუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/17/1583, 2022)	16
10. გიორგი გორგოშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინააღმდეგ (N1/4/1691, 2023)	17
11. მარიამ გომეზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/6/1664, 2024)	17
12. გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/1395, 2025)	18
პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მუხლი 12)	20
13. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)	20
14. ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/570, 2016)	21
15. ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ (N1/2/622, 2017)	22
16. ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (N1/13/878, 2017)	23
17. ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (N2/16/1346, 2019)	24
ადამიანის თავისუფლება (მუხლი 13)	25
18. საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმეშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/182,185,191, 2003)	25
19. გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/1/263, 2005)	26
20. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)	27
მიმოსვლის თავისუფლება (მუხლი 14)	29
21. სერგო მუშლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/4/212, 2004)	29

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეშელობის უფლებები (მუხლი 15)	30
22. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/407, 2007)	30
23. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/1/484, 2012)	31
24. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/2/519, 2012)	32
25. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინჭლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, გვიად ქორიძე, ააივ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააივ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააივ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააივ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააივ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/1/625,640, 2016)	34
რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები (მუხლი 16)	36
26. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საიბს Amicus Curiae, N1/1/477, 2011)	36
აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები (მუხლი 17)	37
27. ბესიკ ქათამაძე, დავით მუხვანაძე და ილია მაღაგონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/5/1271, 2019)	37
სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები (მუხლი 18)	39
28. კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/1312, 2020)	39
საკუთრების უფლება (მუხლი 19)	41
29. შპს „მადი“ და შპს „ვალეასტომი 2004“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის წინააღმდეგ (N1/3/611, 2016)	41
30. შპს ბექანასი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/2/1475, 2020)	41
შეკრების თავისუფლება (მუხლი 21)	43
31. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/180-183, 2002)	43
32. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები გვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დიმიტრი და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/482,483,487,502, 2011)	44
33. მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/5/525, 2012)	45

საარჩევნო უფლება (მუხლი 24)	46
34. სალომე ჭინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დარი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/2/588, 2016)	46
35. კახა კუპავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/3/600, 2017)	47
საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება (მუხლი 25)	49
36. გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ (N1/4/614,616, 2016)	49
37. ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/5/626, 2017)	50
38. ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/9/1673,1681, 2022)	51
შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება (მუხლი 26)	54
39. პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჩაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (N1/1/1505,1515,1516,1529, 2021)	54
განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება (მუხლი 27)	55
40. ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოცინი, მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/540, 2014)	55
ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები (მუხლი 30)	57
41. სალომე ნერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/425, 2008)	57
42. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)	58
საპროცესო უფლებები (მუხლი 31)	60
43. საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიკაშვილი, რევაზ ჭიშქერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/182,185,191, 2003)	60
44. ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/393,397, 2006)	60
45. ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/558, 2014)	62
46. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)	63
47. მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/579, 2015)	64
48. ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/5/768,769,790,792, 2016)	66
49. დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/7/779, 2018)	69
50. ხვიჩა ყირიმიაშვილი, გიგა ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/12/1229, 1242, 1247, 1299, 2018)	70
51. ირაკლი ხვამელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/1263, 2019)	72
52. გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/1/1289, 2021)	74
53. გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/8/926, 2022)	76
54. გიორგი ფუტყარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/4/1597, 2025)	77

შესავალი

2026 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან 31 წელი სრულდება. 1995 წლის კონსტიტუციამ საქართველოს კონსტიტუციურ ისტორიაში პირველად შექმნა კონსტიტუციური კონტროლის დამოუკიდებელი ორგანოს — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს — ჩამოყალიბების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მისცა შესაძლებლობა, კონსტიტუციური სარჩელის გზით დაეცვათ საკუთარი უფლებები და მოეთხოვათ ნორმატიული აქტის ან მისი კონკრეტული ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების პირველივე წლებიდან აქტიურად იყენებს კონსტიტუციური სამართალწარმოების მექანიზმებს. ამ დროის განმავლობაში ორგანიზაციამ სასამართლოს დაახლოებით 150 კონსტიტუციური სარჩელითა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (*amicus curiae*) მიმართა. საიას საქმიანობა მნიშვნელოვნად უკავშირდება როგორც კონკრეტული პირების უფლებების დაცვას, ისე იმგვარი სამართლებრივი სტანდარტების დამკვიდრებას, რომლებიც ფართო საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება.

საიას მიერ ინიცირებულ საქმეთა უმრავლესობაში მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა, რადგან სადავო სწორედ საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობა იყო. თუმცა, ორგანიზაცია სხვადასხვა დროს დავობდა / დავობს სხვა სუბიექტების წინააღმდეგაც, მათ შორის — საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, თავდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ.

საიას საკონსტიტუციო სამართალწარმოებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების განვითარებაში. ორგანიზაციის საქმეები ეხებოდა, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თანასწორობას, არასათანადო მოპყრობის აკრძალვას, ინფორმაციისა და მედიის თავისუფლებას, არასრულწლოვანთა უფლებებსა და გარემოსდაცვით უფლებებს. ამ საქმეებმა ხელი შეუწყო საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საერთაშორისო და შედარებითი სამართლის თანამედროვე მიდგომების დამკვიდრებას, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებას.

არაერთ შემთხვევაში, საიას სარჩელების საფუძველზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ადამიანის უფლებათა დაცვის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტი დაადგინა. ამ გადაწყვეტილებებმა არა მხოლოდ კონკრეტულ საქმეებში ადადგინა დარღვეული უფლებები, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაზე.

ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში საიას 28 კონსტიტუციური სარჩელია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ბოლო წლებში გამოქალაქო საზოგადოების, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლების მიმართ მიღებულ ან გამკაც-

რეზულ რეპრესიულ საკანონმდებლო ინიციატივებსა და ნორმებს, მათ შორის „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონს, ე.წ. „რუსულ კანონს“, ე.წ. „FARA“-ს, აგრეთვე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონს. საია ასევე აგრძელებს დავას საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმებზე, რომლებიც ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ეწინააღმდეგება. განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება 2024 წლის დეკემბრიდან შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემოს დამატებითი გაუარესება.

წლების განმავლობაში საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში არაერთ მნიშვნელოვან საქმეზე მოიპოვა წარმატება. წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც საიას სარჩელებმა ან სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებმა არსებითი როლი შეასრულა და რომლებმაც მნიშვნელოვნად განავითარეს საქართველოში ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური დაცვის სტანდარტები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით შეიცვალა კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების მარეგულირებელი მუხლების ნუმერაცია და სისტემატიკა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში 2018 წლის 16 დეკემბერს შევიდა. შესაბამისად, ამ დოკუმენტში განხილული საქმეები, მიუხედავად იმისა, გადაწყვეტილება მიღებულია 1996–2018 წლებში თუ 2018 წლის 16 დეკემბრის შემდეგ — მითითებული იქნება კონსტიტუციის მოქმედი, 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით ჩამოყალიბებული ნუმერაციის შესაბამისად.

ამგვარი მიდგომის მიზანია დოკუმენტის ერთიანობისა და მარტივი აღქმის უზრუნველყოფა: ერთ სივრცეში თავმოყრილი სხვადასხვა პერიოდის გადაწყვეტილებები შეფასდეს იმავე კონსტიტუციური უფლებების ჭრილში და მკითხველმა ადვილად დაინახოს, როგორ ვითარდებოდა კონკრეტული უფლების დაცვის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა (მუხლი 9)

1. ირაკლი ქამოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)

2014 წლის 8 ოქტომბერს, საიას მიერ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი მიჩნეული იქნა კონსტიტუციის მე-9 მუხლთან შეუსაბამოდ.

გასაჩივრებული ნორმა ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმს უფლებას აძლევდა, გამონაკლის შემთხვევაში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პაციენტს არაჰუმანურად მოჰყრობოდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველად მისი არსებობის განმავლობაში, დაადგინა, რომ ჰუმანური მოპყრობის უფლება იყო აბსოლუტური. დაუშვებელი იყო ამ უფლებაში ჩარევა ნებისმიერ დროსა და ვითარებაში, იმის მიუხედავად, თუ რა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ხორციელდებოდა ამით. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუნდაც გამონაკლისის შემთხვევაში ექიმის მიერ პაციენტის არაჰუმანური მოპყრობა კონსტიტუციის მე-9 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

2. ნანა ფარეჟაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ (N2/4/665,683, 2018)

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე არაკონსტიტუციურად სცნო პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის დისკრეციული უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს, როცა ის ამას საჭიროდ მიიჩნევს, სრულად გააშიშვლოს პატიმარი. გასაჩივრებული მინისტრის №200 ბრძანება არ გამორიცხავდა იმას, რომ დირექტორს პატიმარი გაეშიშვლებინა დღეში 10-ჯერ, ყოველგვარი საჭიროების გარეშე. შესაძლოა სრული გაშიშვლების ღონისძიებას დაქვემდებარებოდა პატიმარი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინაშე შემოიყვანეს მაგალითად სასამართლოდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მას გავლილი ჰქონდა გაშიშვლების პროცედურა. გაშიშვლება ტარდებოდა იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა დირექტორს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმარმა მიიღო უკანონო ნივთი ან მის სხეულზე მოხდა დანაშაულის შემცველი გზავნილის ამოტვიფვრა.

დისკრეცია, როცა დირექტორის მიერ პატიმრის გაშიშვლების უფლებამოსილება არ იყო შეზღუდული, მიჩნეული იქნა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულ არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად.

3. ნოე კორსავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/19/1265,1318, 2020)

2020 წლის 4 ივნისს განჩინებით განმაწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილების დამძლევად მიიჩნია და ძალადაკარგულად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ზომით - ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით - ადამიანის დასჯა, მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ოდენობით ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების შენახვისათვის.

ამ საქმეზე საია იცავდა ნოე კორსავას ინტერესებს. ეს უკანასკნელი, 2016 წლის 13 ივლისის №1/1558-15 განაჩენით, 2016 წლის 4 ივლისს გაფორმებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, დამნაშავედ იქნა ცნობილი დიდი ოდენობით (0,00000126 გრამი) ნარკოტიკული საშუალება მეტამფეტამინის შეძენისა და შენახვისათვის. ნოე კორსავას სასჯელის ზომად დაენიშნა პირობითი თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე. ნოე კორსავა დაკავებული იქნა მას შემდეგ, რაც მან ინტრავენური გზით მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. მოსარჩელის მიერ გამოყენებულ შპრიცში დარჩა თვალისათვის უხილავი მიკროსკოპული რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება მეტამფეტამინი. სწორედ თვალისათვის უხილავი, მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ნარკოტიკული საშუალების შენახვის გამო დაისაჯა ნოე კორსავა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სპეციალისტების დაკითხვის გზით დაადგინა, რომ მეტამფეტამინის 100 პროცენტიანი მოხმარება შეუძლებელია. ჭურჭელში ყოველთვის რჩება შეუიარაღებელი თვალისათვის უხილავი ნარკოტიკული საშუალება. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 109-ე პარი-ზონტალური გრაფით განსაზღვრულ მეტამფეტამინს არ გააჩნია მცირე და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები, რის გამოც ნებისმიერი ოდენობის მეტამფეტამინი, რომელიც არ აღემატება ერთ გრამს, კვალიფიცირდება როგორც დიდი ოდენობა, განურჩევლად იმისა, გამოყენებადია თუ არა იგი მოსახმა-რად. ამდენად, სადავო ნორმა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწი-ნებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ დგას ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისგან ან/და გავრცელებისგან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. ეს დებულება კრძალავს არაადამიანური სასჯელის გამოყენებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, როდესაც ნარკოტიკული საშუალების ოდე-ნობა იმდენად მცირეა, რომ არ არსებობს არათუ მისი გავრცელების, არამედ მოხმა-რებისა და ამის შედეგად ნარკოტიკული სიმთვრალის საფრთხე, ადამიანის დასჯა არ ემსახურება სასჯელის მიზნების მიღწევას. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, სახეზე იყო კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული არა-ადამიანური სასჯელი.

ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოებს დაავალა, ყო-ველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვრონ, შპრიცში დარჩენილი ნარკოტი-კული საშუალება, რამდენად ვარგისია მოსახმარად და ამის მიხედვით გადაწყვიტონ, რამდენად მოხდება ადამიანის მსჯავრდება ამ ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შენახვისათვის. ამ საქმის სტრატეგიული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ეს გადაწყვეტილება ეხება არა მხოლოდ მეტამფეტამინს, არამედ ნებისმიერ ნარკოტი-კულ საშუალებას.

სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები (მუხლი 10)

4. ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/9/682, 2015)

2015 წლის 25 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სარჩელი კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სიცოცხლის უფლებასთან მიმართებაში და შეაჩერა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება. სადავო ნორმა ადგენდა იმას, რომ ადამიანის ორგანოს დონორი მხოლოდ მისი ახლო ნათესავი შეიძლებოდა ყოფილიყო და არა ის პირი, რომელიც, მართალია, არ იყო ნათესავი, მაგრამ მასთან რეციპიენტს (ადამიანის ორგანოს მიმღებს) ჰქონდა მეგობრული და ემოციური ურთიერთობა.

მოსარჩელე დაავადებული იყო ბადი ქიარის სინდრომით. მას ესაჭიროებოდა ღვიძლის გადანერგვა. მართალია, კანონი ითვალისწინებდა გვამურ დონაციას, თუმცა პრაქტიკულად ეს საქართველოში არ ხდებოდა. რჩებოდა ერთი შესაძლებლობა, რომ მოსარჩელეს ღვიძლი მიეღო მეგობრისაგან, რომელიც არ ექცეოდა მისი ნათესავების წრეში, თუმცა კანონი კრძალავდა ამგვარი დონორისაგან ღვიძლის გადანერგვას, ვინაიდან კანონმდებლობა ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ ადამიანი, რომელიც არ არის რეციპიენტის ნათესავი, ვერ იქნება უანგარო დონორი. აკრძალვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ უცხო ადამიანებისაგან ადამიანის ორგანოების მიღების უფლების არსებობა გააჩენდა ორგანოებით ვაჭრობის საფრთხეს, ამიტომაც სადავო ნორმა ორგანოების დონორების რიცხვს ახლო ნათესავებით ზღუდავდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენდა მნიშვნელოვან ღირებულებას, რომლის გარეშეც ფაქტობრივად საფუძველი ეცლებოდა ყველა სხვა კონსტიტუციურ უფლებას. თუკი საკონსტიტუციო სასამართლო არ შეაჩერებდა ნორმის მოქმედებას, ამას შედეგად მოჰყვებოდა მოსარჩელის გარდაცვალება.

ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ არსებობდა ადამიანის ორგანოების ვაჭრობის თავიდან აცილების სხვა მექანიზმები, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 135¹ მუხლი კრძალავს ორგანოებით ვაჭრობას. ამასთან ორგანოების გადანერგვის მართლზომიერებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტრანსპლანტაციის საბჭო, რომელიც გასცემდა ნებართვას ორგანოების გადანერგვაზე. ამასთან ორგანოების ვაჭრობას ამცირებს ის ფაქტი, რომ ღვიძლის გადანერგვა უნდა მოხდეს ემოციური კავშირის მქონე პირისაგან და არა ნებისმიერი გარეშე პირისაგან.

საბოლოოდ, საქმის არსებითად განხილვამდე საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რაც გამორიცხავდა ღვიძლის (და არა ადამიანის ნებისმიერი სხვა ორგანოს) ტრანსპლანტაციას ემოციური კავშირის მქონე პირისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საოქმო ჩანაწერს მოჰყვა საკანონმდებლო ცვლილებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა XXXVI¹ თავი, რომელიც არეგულირებს ცოცხალ დონორობაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემას. ამ თავის თანახმად, ადამიანის ორგანოს გადანერგვაზე თანხმობას გასცემს სასამართლო. სანამ სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, ის, მტკიცებულებების გამოკვლევის გზით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 316³ მუხლის თანახმად, უნდა დარწმუნდეს

იმაში, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ადამიანის ორგანოს დონორსა და რეცი-
პიენტს შორის სტაბილური ახლო მეგობრული ურთიერთობა არსებობს. ამ ცვლილე-
ბის შეტანამ აზრი გამოაცალა საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ სარჩელს.
პარლამენტმა ემოციური კავშირის მექანე პირისაგან დაუშვა არა მარტო ღვიძლის,
არამედ ნებისმიერი ორგანოს დონორობა. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ
საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გარეშე, ამ საქმეზე შეწყვიტა წარმოება.

თანასწორობის უფლება (მუხლი 11)

5. ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/2/534, 2013)

საიას საქმეზე „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის შემოწმების ორი ტესტი: მკაცრი და რაციონალური ტესტი.

საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრ ტესტს იყენებს მაშინ, როცა განსხვავებული მოპყრობა ხდება კონსტიტუციაში ჩამოთვლილი კლასიკური ნიშნების საფუძველზე. ამის მიუხედავად ის, რომ კონსტიტუციაში ხდებოდა იმ ნიშნების პირდაპირ ჩაწერა, რომელთა საფუძველზე დისკრიმინაციის დიდი ხნის გამოცდილება არსებობდა. კონსტიტუციაში კონკრეტული ნიშნების დასახელება ემსახურებოდა იმას, რომ მათ საფუძველზე დისკრიმინაცია აღარ განმეორებულიყო. ამასთან მკაცრი ტესტი გამოიყენება მაშინაც, როცა დიფერენცირება არ ხდება კლასიკური ნიშნების საფუძველზე, თუმცა გასაჩივრებული ნორმა მკვეთრად ამორებს შესაძარებელ პირებს სამართლებრივ ურთიერთობაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობისგან (დიფერენცირების ინტენსივობა მაღალია). მკაცრი ტესტის გამოყენებისას მოწმდება: რამდენად არსებობს დიფერენცირების ლეგიტიმური მიზანი (დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი), რამდენად არის დიფერენცირება ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი, აუცილებელი და, ვიწრო გაგებით პროპორციული საშუალება.

თუკი დიფერენცირება არც კლასიკური ნიშნით ხდება და მისი ინტენსივობა არც მაღალია, გამოიყენება რაციონალური ტესტი. ამ დროს მოწმდება რამდენად არსებობს დიფერენცირების მიზეზი (ლეგიტიმური მიზანი) და დიფერენცირება რამდენად რაციონალურია (ვარგისია) ამ მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ ტესტების საფუძველზე მოხდა საიას მიერ წარდგენილი, ქვემოთ ნახსენები საქმეების განხილვა.

მამაგულაშვილის საქმეში გასაჩივრებული იყო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც დევნილის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა იმ პირისათვის, რომელიც ომის და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რაც მდებარეობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია.

მოსარჩელე ტრისტან მამაგულაშვილი ცხოვრობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანში. რუსეთის ფედერაციამ მოახდინა სოფელი დვანის ოკუპაცია. სოფელი დვანი შედის ქარელის მუნიციპალიტეტში. ეს სოფელი არასოდეს შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში. ამის მიუხედავად, მოსარჩელე ტრისტან მამაგულაშვილის სახლი მოექცა დვანის ოკუპირებული ნაწილის მიღმა. ტრისტან მამაგულაშვილს არ ჰქონდა თავის სახლში დაბრუნების შესაძლებლობა ოკუპაციის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ დევნილები, რომელთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით ოკუპირებულად აღიარებულ ტერიტორიაზე და პირები, რომლებიც ოკუპაციის

გამო იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ მათი ისეთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რაც საქართველოს კანონმდებლობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარედ არ ითვლებოდა, მიიჩნია არსებითად თანასწორად დევნილისათვის გათვალისწინებული სოციალური დახმარების სარგებლობის ნაწილში. საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსხვავებული მოპყრობა ეფუძნებოდა ოკუპაციის ფაქტს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ უნდა გამოყენებულიყო მკაცრი ტესტი. მართალია დიფერენცირება არ ეფუძნებოდა კლასიკურ ნიშნებს, მაგრამ მისი ინტენსივობა იყო მაღალი. ადამიანი, რომელიც იმყოფებოდა ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილის იდენტურ მდგომარეობაში, მთლიანად იყო მოკლებული იმ გარანტიებს, რითაც დევნილები სარგებლობდნენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დიფერენცირების ლეგიტიმური მიზანი დევნილის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტაცია და მის მიმართ ვალდებულების აღება იყო. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, დიფერენცირება არ იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგისი საშუალება. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შესახებ“ კანონის მიზანი იყო იმ პირების ახალ გარემოსთან ადაპტაცია და მათთვის თვითრეალიზების შესაძლებლობის მინიჭება, რომლებმაც ოკუპაციის გამო დატოვეს მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ეს მიზანი არ იქნებოდა მიღწეული იმ პირობებში, როცა პირთა ნაწილი ვერ სარგებლობდა აღნიშნული გარანტიებით, როცა მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარედ მიჩნეული, თუმცა ეს პირი მოკლებულია თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების შესაძლებლობას. ეს კატეგორიაც (რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ ემთხვევა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის გეოგრაფიას) საჭიროებს ახალ ადგილას ადაპტაციას. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

6. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)

საკონსტიტუციო სასამართლომ, მათ შორის, დისკრიმინაციის ქრილში განიხილა შემთხვევა, როცა სამოქალაქო კოდექსით ქმედუწაროდ აღიარების შემთხვევაში ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები კარგავდნენ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების დადების შესაძლებლობას, მათ შორის, მაშინ, როცა შესწევდათ უნარი, აღექვათ ამ გარიგების შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლომ წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებასთან მიმართებაში ქმედუწაროდ აღიარებული ეს პირები მიიჩნია იმ პირების თანასწორად, რომელსაც არ ჰქონდათ ინტელექტუალური ხასიათის შეზღუდვები და ასევე აღიქვამდნენ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების მნიშვნელობას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების დადების კუთხით ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას. ერთი მხრივ, ქმედუწაროდ აღიარებულ პირსა და მეორე მხრივ, ისეთ პირს შორის, რომელსაც არ ჰქონდა ინტელექტუალური შეზღუდვები.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დიფერენცირება ხდებოდა სოციალური კუთვნილების ნიშნით, რაც კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით პირდაპირ განსაზღვრული ნიშანია. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში დაა-

დგინა, რას ნიშნავდა სოციალური ნიშანი, ეს იყო ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდვა, რაც მთელი ჯგუფისათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარად, ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციით გათვალისწინებული კლასიკური ნიშნის არსებობა და გამოიყენა მკაცრი ტესტი.

ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის ინტერესი, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, პირისათვის ყველა სფეროში გადაწყვეტილების მიღების უფლების ჩამორთმევა, არ იქნა მიჩნეული აუცილებლად ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ინდივიდუალიზებული მიდგომა, როცა ექსპერტიზის დასკვნით დგინდება რა სფეროში აქვს ადამიანს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა და რა სფეროში - არა, არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ნაკლებად მზღუდავი საშუალება. ამის საფუძველზე, ერთ სფეროში სასამართლოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობის დატოვება, სხვაგან მისთვის ამგვარი შესაძლებლობის შეზღუდვა, იმავე ეფექტურობით უზრუნველყოფდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ამგვარად, მკაცრი ტესტის გამოყენებით ამ საქმეში დადგინდა კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

7. როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (N1/11/629,652, 2017)

ამ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელმაც დატოვა კერძო სადაზღვევო სქემა 2013 წლის 1 ივლისამდე, ისარგებლებდა საყოველთაო ჯანდაცვის ძირითადი პაკეტით, კერძოდ გეგმური ოპერაციით. პირი, რომელმაც კერძო დაზღვევა დატოვა 2013 წლის 1 ივლისს და შემდეგ დღეებში, ისარგებლებდა არა საყოველთაო დაზღვევის ძირითადი, არამედ მინიმალური პაკეტით, კერძოდ, სისხლის და შარდის საერთო ანალიზით, ასევე გადაუღებელი ქირურგიული მომსახურებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საიას ეს სარჩელი დააკმაყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დიფერენცირებას იმ პირებს შორის, რომლებმაც დატოვეს კერძო სადაზღვევო სქემა 2013 წლის 1 ივლისამდე და ამ დღის შემდეგ.

დიფერენცირება არ ხდებოდა კლასიკური ნიშნით, ვინაიდან დიფერენცირების ნიშანი იყო კონკრეტული წყალგამყოფი თარიღი - 2013 წლის 1 ივლისი და ამ დღეს ადამიანის კერძო სადაზღვევო სქემაში ყოფნა. დიფერენცირება არ იყო ინტენსიური, ვინაიდან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული პირები - ადამიანები, რომლებსაც 2013 წლის 1 ივლისისათვის ჰქონდათ კერძო დაზღვევა - სრულად არ იყვნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სიკეთით მოკლებულნი. მათ უნაზღაურებოდათ სისხლის და შარდის ანალიზი, ამასთან სარგებლობდნენ გადაუღებელი ოპერაციის ხარჯების საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან ანაზღაურების უფლებით. ამასთან ისინი ისარგებლებდნენ რეფერალის პროგრამით. ამგვარად, შესადარებელ პირები მნიშვნელოვნად არ იყვნენ დამორეზულნი სამართლებრივ ურთიერთობაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობისგან. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა რაციონალური ტესტი. საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა ორ კითხვაზე: რა ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა დიფერენცირებას და რამდენად იყო ის

გამოსადეგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნისათვის პასუხის გაცემის გარეშე).

დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა საბიუჯეტო რესურსების დაზოგვა. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ დიფერენცირება არ მიიჩნია ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგ საშუალებად. პირები, რომლებმაც კერძო დაზღვევა დატოვეს 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან არ სარგებლობდნენ ისეთი ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობით, როგორიც იყო კონკრეტული პროფილის ექიმ-სპეციალისტთა მომსახურება. ისინი არ სარგებლობენ ასევე არც ერთი სახის ინსტრუმენტული გამოკვლევით (მაგ. ელექტროკარდიოგრაფია, მუცლის ღრუს ექოსკოპია) და კლინიკურ-ლაბორატორიულ გამოკვლევათა აბსოლუტური უმრავლესობით. აღნიშნული ტიპის გამოკვლევები ხშირ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სხვადასხვა დაავადების/გართულებების დროულად გამოვლენის და ეფექტურად პრევენციის საქმეში, მაშინ როდესაც გადაუდებელი ამბულატორიული თუ სტაციონარული მომსახურება, როგორც წესი, უკავშირდება პირის ჯანმრთელობის კრიტიკულ მდგომარეობას და შესაძლოა, ბევრად მეტ ფინანსურ ხარჯთან იყოს დაკავშირებული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სადავო ნორმით გათვალისწინებული დიფერენცირება იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარი საშუალება.

კიდევ ერთ ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა ის, რომ 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ მოხდებოდა კერძო დაზღვევიდან საყოველთაო დაზღვევაში ბენეფიციარების გადინება. იმისათვის, რომ არ დაზიანებულიყო კერძო სადაზღვევო კომპანიის ინტერესები, ამიტომ განისაზღვრა 2013 წლის 1-ლი ივლისი, როგორც წყალგამყოფი. მართალია, კერძო სადაზღვევო კომპანიების წახალისება მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანია, მაგრამ თავად კერძო სადაზღვევო კომპანიამ უნდა შესთავაზოს ბენეფიციარს ისეთი პირობები, რომ მათ არ გაუჩნდეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გადასვლის სურვილი. ამასთანავე, სახელმწიფოსა და კერძო სადაზღვევო კომპანიას შორის უნდა არსებობდეს ინფორმაციის გაცვლის გამართული სისტემა. კერძო კომპანიამ სახელმწიფოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელ ბენეფიციართან, რა მიზეზით შეწყდა დაზღვევის ხელშეკრულება. ამგვარი ინფორმაციის გაცვლა აუცილებელია იმისათვის, რომ უსაფუძვლოდ არ მოხდეს გადინება კერძო სადაზღვევო სქემიდან საყოველთაო დაზღვევაში. შესაძლოა ადამიანმა დაკარგოს სამსახური და მასთან ერთად, კერძო სადაზღვევო სქემით სარგებლობის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს უარი არ უნდა ეთქვას საყოველთაო დაზღვევით სარგებლობაზე.

ამგვარად, იმის გამო, რომ დიფერენცირება არ იყო გამოსადეგი საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, არ იყო დაკმაყოფილებული რაციონალური ტესტის მოთხოვნები, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.

8. ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/1412, 2020)

2020 წლის 29 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საია სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო ნორმა, რომლითაც, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა ერთი ნაწილის დაკავების ვადა შეადგენდა 12 საათს, ხოლო მეორის - 48 საათს. პირი მოხვდებოდა 12-საათიანი დაკავების ვადაში თუ 48-საათიანი

დაკავების ვადაში, ეს საკითხი წყდებოდა იმის მიხედვით, დაკავების 12-საათიანი ვადა ემთხვეოდა თუ არა არასამუშაო დროს. თუ ადამიანის დაკავებიდან გავიდოდა 12 საათი და ეს დრო იყო არასამუშაო სასამართლოსათვის, ასეთი პირის მიმართ გამოიყენებოდა 48-საათიანი დაკავების ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადამიანის დაკავების მე-12 საათი დაემთხვეოდა სასამართლოს სამუშაო დროს, ასეთ შემთხვევაში დაკავება ამ 12 საათში დამთავრდებოდა. მაგალითად, თუ ადამიანი დააკავეს 18 საათზე, ამ ადამიანის დაკავების 12 საათი გადიოდა დილის 6 საათზე, როცა სასამართლოები არ მუშაობენ და ამ კატეგორიის პირის ადმინისტრაციული დაკავება 48 საათი გაგრძელდებოდა. პირიქით, ადამიანი რომ დაეკავებინათ დილის 5 საათზე, ამ ადამიანის დაკავების 12 საათი გავიდოდა 17:00 საათზე. ეს ის დროა, როცა სასამართლო ჯერ კიდევ მუშაობს და შესაბამისად, ეს პირი 17:00 საათზე, დაკავებიდან 12 საათის შემდეგ, გათავისუფლდებოდა ადმინისტრაციული დაკავებიდან.

როცა საერთო სასამართლოები მუშაობდნენ, მათ შორის, შაბათ-კვირის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის აუხსნელი დარჩა, 48 საათის ნაცვლად, რატომ არ შეიძლებოდა ის ადამიანი, რომლის დაკავების 12 საათი ემთხვეოდა სასამართლოსათვის არასამუშაო დროს, წარდგენილიყო სასამართლოში მაშინვე, როგორც კი საერთო სასამართლოების სამუშაო დრო დაიწყებოდა. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლო მუშაობას იწყებდა 09:30 საათზე და ასრულებდა 18 საათზე. თუკი ადამიანის დაკავებიდან 12 გავიდოდა დილის 06:00 საათზე, რატომ იყო შეუძლებელი ასეთი ადამიანი სასამართლოში წარედგინათ 4 საათის გასვლის შემდეგ, დილის 10 საათზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს ერთი სამუშაო დღე (09:30 საათიდან 18:00 საათამდე) ისე გადიოდა, რომ ასეთი პირის დაკავება მაინც გრძელდებოდა, სასამართლოს მომდევნო სამუშაო დღის დაწყებამდე. ეს გარემოება საკონსტიტუციო სასამართლომ დისკრიმინაციულად მიიჩნია.

9. ირაკლი მაჭუბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/17/1583, 2022)

ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პრაქტიკის დამძლევად მიიჩნია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32¹ მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოში მანდატურად მუშაობის ზღვრული ასაკი არის 50 წელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა იმის გამო, რომ 50 წლის ასაკის მიღწევა ავტომატურად ითვალისწინებდა პირის მანდატურის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას.

ეს მაშინ, როცა ექსპერტების შეფასებით, 50 წელი არ არის ის ასაკი, როცა ადამიანი კარგავს უნარებს, რაც მანდატურის ფუნქციის განსახორციელებლად არის აუცილებელი. 50 წელს მიღწეული პირი, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ნაკლები ასაკის ადამიანთან შედარებით შესაძლოა უკეთეს ფიზიკურ ფორმაშიც კი იყოს და უკეთ შეძლოს სასამართლოს დარბაზში წესრიგის დაცვა. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო გასაჩივრებული ნორმა.

10. გიორგი გოროშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინააღმდეგ (N1/4/1691, 2023)

2023 წლის 22 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას შუამდგომლობა და არსებითი განხილვის გარეშე განჩინებით არაკონსტიტუციურად სცნო ნორმატიული აქტები, რომლითაც აკადემიური თანამდებობის (ასისტენტი, ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და პროფესორის თანამდებობა) დასაკავებლად ზღვრული ასაკი - 65 წელი მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის დაძლევადა.

ამ საქმეზე, თავდაპირველად, საკონსტიტუციო სასამართლომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აკადემიური საბჭოს დადგენილება ცნო ნორმატიულ აქტად, იმის მიუხედავად, რომ თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება არ ითვლებოდა ნორმატიულ აქტად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად. იმის გამო, რომ თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება შეიცავდა მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ეს დადგენილება მიჩნეული იქნა ნორმატიულ აქტად, რომელთან მიმართებაშიც დასაშვები იყო კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობა მოითხოვს სათანადო პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ასაკის მატება არათუ აკნინებს უმაღლესი განათლების სფეროში აუცილებელ გამოცდილებას და ცოდნას, არამედ პირიქით, პროფესორის და სხვა აკადემიური თანამდებობის პირის წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეუფერხებელ საქმიანობას უწყობს ხელს. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასაკის ნიშნით დიფერენცირება იყო გამოუსადეგარი საშუალება საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო ის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, 65 წლის მიღწევის შემდეგ ადამიანს აღარ აქვს ენერგია, განახორციელოს აკადემიური თანამდებობის პირის ფუნქციები. თსუ-მ გამოიყენა თავის დისკრეციული უფლებამოსილება და 730 აკადემიური თანამდებობის პირიდან 229 ადამიანი 65 ან მეტი ასაკობრივი ჯგუფიდან შეარჩია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია ამ საქმეზე.

11. მარიამ გოგვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/6/1664, 2024)

ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ნოტარიუსს, რომელმაც ეს თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის პირველ აპრილამდე, უფლებას აძლევდა, მიემართა საქართველოს იუსტიციის მინისტრისათვის განცხადებით და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების გარეშე დაბრუნებულიყო ნოტარიუსის თანამდებობაზე.

მოსარჩელე მარიამ გოგვაძე 2003 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა ნოტარიუსის თანამდებობაზე. 2010 წლის 4 მაისს მარიამ გოგვაძემ დაწერა განცხადება და გათავისუფ-

ლდა ნოტარიუსის თანამდებობიდან. მარიამ გოგვაძე ამტკიცებდა, რომ ის არსებითად თანასწორ მდგომარეობაში იყო იმ ნოტარიუსთან, რომელმაც 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 აპრილამდე დატოვა ნოტარიუსის თანამდებობა, ამის მიუხედავად, სადავო ნორმა მას უთანასწოროდ ეპყრობოდა. 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 აპრილამდე თანამდებობიდან წასულ ნოტარიუსს არ მოეთხოვებოდა გამოცდების ჩაბარება. ამ კატეგორიის პირებისათვის არ იყო აუცილებელი ნოტარიუსის ვაკანტური პოზიციისათვის ლოდინი, ისე შეეძლოთ მათ ნოტარიუსის საქმიანობის განახლება. 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 აპრილამდე ნოტარიუსის თანამდებობიდან წასულ პირს არ მოეთხოვებოდა ნოტარიუსის თანამდებობაზე დაბრუნებიდან პირველი სამი თვის მაღალმთიან რეგიონში სავალდებულო საქმიანობა.

რაც შეეხება მარიამ გოგვაძეს, რომელიც თანამდებობიდან წავიდა არა 2008 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 აპრილამდე შუალედში, არამედ 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ, ნოტარიუსის თანამდებობაზე დასაბრუნებლად მარიამ გოგვაძეს მოეთხოვებოდა, ჩაებარებინა ორი ეტაპისაგან შემდგარი (პროფესიული და ზოგადი უნარები) გამოცდა, დალოდებოდა ნოტარიუსის ვაკანსიის გამოჩენას და ნოტარიუსის თანამდებობაზე დაბრუნებიდან სამი წელი გავსო მაღალმთიან რეგიონში. საკონსტიტუციო სასამართლომ შესადარებელი პირები არსებითად თანასწოროდ მიიჩნია. დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა სანოტარო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა. ახლად მიღებული „ნოტარიუსის შესახებ“ კანონი ამოქმედდა 2010 წლის 1 აპრილს. სანამ ახალი წესით ნოტარიუსები დაინიშნებოდნენ, 2010 წლის 1 აპრილისათვის შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისი რაოდენობის ნოტარიუსი და ადამიანები ვერ მიიღებდნენ საჭირო სანოტარო მომსახურებას. ამიტომ წაახალისეს 2 წლით ადრე თანამდებობიდან წასული ნოტარიუსები, უკან დაბრუნებულიყვნენ.

სანოტარო სამსახურის საქმიანობის უწყვეტობა საკონსტიტუციო სასამართლომ დირეზულ ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, თუმცა დიფერენცირება რაციონალურ კავშირში არ იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევასთან. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუგებარი დარჩა, კანონმდებელი რატომ ანიჭებდა ისეთ ადამიანს უპირატესობას, რომელმაც თანამდებობა დატოვა 2008 წლის 2 აპრილს, იმ პირთან შედარებით, რომელიც ნოტარიუსის თანამდებობიდან გადადგა 2010 წლის 4 მაისს. ამ უკანასკნელებს 2008 წლის 2 აპრილს გადამდგარ ნოტარიუსებთან შედარებით მეტი სამუშაო გამოცდილება ჰქონდათ და უკეთ უზრუნველყოფდნენ სანოტარო სამსახურის საქმიანობის უწყვეტობას. ამიტომ, ადგილი ჰქონდა კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

12. გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/1395, 2025)

2025 წლის 19 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ საიას საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დაადგინა დისკრიმინაცია და არაკონსტიტუციურად სცნო სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამ ნორმის თანახმად, მოხუცთა თავშესაფარს, შშმ პირების დაწესებულებას (მზრუნველობის დაწესებულება) საკუთრებაში გადაეცემოდათ მათი გარდაცვლილი ბენეფიციარის ქონება, თუ ამ ბენეფიციარს არ ჰყავს არც კანონით, არც ანდერძით მემკვიდრე. მოსარჩელე გიორგი ხორგუაშვილი ამტკიცებდა, რომ ის არჩენდა თავის დედინაცვალს, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ არ აღმოაჩნდა არც კანონით, არც ანდერძით მემკვიდრე. ამის მიუხედავად,

გარდაცვლილი დედინაცვლის ქონება გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში, იმის გამო, რომ გერი არ მიეკუთვნებოდა არც კანონით, არც ანდერძით მემკვიდრეს და იმავდროულად, გერს არ ჰქონდა მზრუნველობის დაწესებულების სტატუსი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირი, რომელსაც არ ჰქონდა მზრუნველობის დაწესებულების სტატუსი, თუმცა არჩენდა ადამიანს, რომელსაც არ ჰყავდა მემკვიდრეები, იყო არსებითად თანასწორი მზრუნველობის დაწესებულებასთან მიმართებაში. თუმცა სადავო ნორმა, მარჩენალს, რომელსაც არ ჰქონდა მზრუნველობის დაწესებულების სტატუსი, უთანასწოროდ ექცეოდა, ვინაიდან ასეთ მარჩენალს, მზრუნველობის დაწესებულებისგან განსხვავებით, არ ჰქონდა გარდაცვლილი სარჩენი პირის ქონების საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა.

პარლამენტმა სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა ის, რომ მზრუნველობის დაწესებულებისთვის გარდაცვლილი ბენეფიციარის ქონების საკუთრებაში მიღება ახდენს ამ დაწესებულების მიერ ბენეფიციარზე გაწეული ხარჯების დაბალანსებას. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს არგუმენტი არ მიიჩნია დიფერენცირების გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნად, ვინაიდან გაწეული ხარჯების დაბალანსების ინტერესი აქვს გერსაც, რომელიც ზრუნავს თავის დედინაცვალზე, მაგრამ არ გააჩნია მზრუნველობის დაწესებულების სტატუსი და დედინაცვლის გარდაცვალების შემდეგ საკუთრებაში არ იღებს მის ქონებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დიფერენცირებას არ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და დაადგინა კონსტიტუციის მე-11 მუხლის დარღვევა.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მუხლი 12)

13. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი იცავდა პიროვნების ავტონომიურობას, მის შესაძლებლობას, სხვებისგან ჩაურევლად დაამყაროს ურთიერთობა გარეშე პირებთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქმედუუნარობის ინსტიტუტი ზღუდავდა პიროვნული განვითარების უფლებას, ვინაიდან ადამიანს ართმევდა ავტონომიურად, საკუთარ თავთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების და გარეშე პირებთან ურთიერთობის საკუთარი სურვილით დამყარების შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსი უკრძალავდა ქმედუუნარო პირს გარიგების დადების შესაძლებლობას. ქმედუუნარო პირის ნებას ანაცვლებდა მეურვის ნებით.

ასევე „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით ქმედუუნარო პირი საკუთარი სურვილით ვერ აირჩევდა სამკურნალო დაწესებულებასა და ექიმს, ასევე ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, ემკურნალა და ჩაეტარებინა თუ არა გამოკვლევები. ექიმისა და სამკურნალო დაწესებულების არჩევის ნაწილში, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აღგილი ჰქონდა მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლების ისეთ ასპექტში ჩარევას, როგორიცაა გარეშე პირებთან საკუთარი სურვილით ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა. რაც შეეხება ადამიანის არჩევანს, გაეკლო მკურნალობა ან სამედიცინო გამოკვლევა, ამ შემთხვევაში იზღუდებოდა პიროვნული განვითარების თავისუფლების ისეთი ასპექტი, როგორიც არის ადამიანის შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებით განკარგოს თავისი ფიზიკური და გონებრივი სფერო.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პიროვნული განვითარების უფლების ამგვარი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი იყო თავად ქმედუუნაროდ ცნობილი ადამიანის ინტერესების დაცვა, რათა ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის გამო მას არ მიეღო საკუთარი თავის საზიანო გადაწყვეტილებები. ითვლებოდა, რომ ქმედუუნარო პირს არა აქვს გარიგების მნიშვნელობის და მისი სამართლებრივი შედეგების გაცნობიერების შესაძლებლობა, ამიტომ ძალიან მაღალი იყო ქმედუუნარო ადამიანი მიერ მისი ინტერესების საწინააღმდეგო გარიგების დადების შესაძლებლობა.

ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუუნარობის ბლანკეტური და უვადო შეზღუდვა არ მიიჩნია აუცილებლად ქმედუუნარო პირის ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაკითხა ფსიქიატრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ქმედუუნარო პირი, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ სფეროში ვერ იღებდეს გაცნობიერებული გადაწყვეტილებას, შესაძლოა სხვა სფეროში მას ჰქონდეს ინფორმირებული და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ქმედუუნარო პირს უმეტესწილად გააჩნია წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადების შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, სადავო ნორმა ართმევდა ქმედუუნარო პირებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ყველა სფეროში. მეტიც, უდავოდ ბათილი იყო ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგება. მეურვე მოკლებული იყო შესაძლებლობას დათანხმებოდა ქმედუუნარო პირის მიერ

დადებულ გარიგებას, მაშინაც კი, როცა დარწმუნდებოდა, რომ ეს გარიგება არ ეწინააღმდეგებოდა ქმედუნარო პირის ინტერესებს. ქმედუნარო პირი მოკლებული იყო, თუნდაც მეურვის რჩევით ამა თუ იმ ქმედების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ ფსიქიკური დიაგნოზი იმდენად მძიმე შეიძლება იყოს, რომ პირს შესაძლოა დაკარგული ჰქონდეს ყველა სფეროში გადაწყვეტილების მიღების გაცნობიერებული შესაძლებლობა. თუმცა ამ გარემოების დადგენის შესაძლებლობა უნდა მომხდარიყო პირის ინდივიდუალური შეფასების გზით.

ანალოგიურად, როდესაც იწყება მკურნალობა, შესაძლოა პირს არ გააჩნდეს სამედიცინო ჩარევაზე გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, თუმცა მკურნალობის შედეგად პირს ეს უნარი დაუბრუნდეს. ამის გამო, მკურნალობის ყოველ ეტაპზე, გაცნობიერებული გადაწყვეტილების არსებობის/მისი დაბრუნების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მტკიცებით, გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის სურვილები მკურნალობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან რეფორმებს, რამაც სულ მცირე, კანონმდებლობის დონეზე, განაპირობა მეურვის ინსტიტუტის ჩანაცვლება მხარდამჭერის ინსტიტუტით, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის დახმარებას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება იმ სფეროში, სადაც მას ამის უნარი გააჩნია.

14. ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (№2/4/570, 2016)

2016 წლის 4 აგვისტოს, საიას სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ ადამიანს შეეძლო მხოლოდ მშობლების გაერთიანებული გვარი მიეღო ან საკუთარი გვარი შეეერთებინა მეუღლის გვარისთვის.

მოქალაქე ნუგზარ ხუნდაძეს სურდა, საკუთარი გვარი - ხუნდაძე - გაეერთიანებინა ბებუის გვარისათვის - ჯაყელისათვის და ეტარებინა შემდეგი სახელი და გვარი - ნუგზარ ხუნდაძე-ჯაყელი. სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა ბებუის გვარის საკუთარ გვართან მიერთების უფლებას, რის გამოც ნუგზარ ხუნდაძემ უარი თქვა საკუთარ გვარზე და მიიღო ბებუის გვარი - ჯაყელი. უკვე ნუგზარ ჯაყელმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ნორმა, რაც გამორიცხავდა საკუთარი გვარის წინაპრის გვართან შეერთებას. კანონი არ კრძალავდა აღმავალი ხაზის ნათესავის გვარის მიღებას, თუმცა ამისათვის ადამიანს უარი უნდა ეთქვა თავის გვარზე. სწორედ ამის გაკეთება მოუხდა ნუგზარ ჯაყელს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პიროვნული განვითარების უფლება იცავდა ადამიანის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას. მართალია, არც მე-12 მუხლში, არც პირადი ცხოვრების დამდგენ სხვა მუხლებში არ წერია არაფერი სახელისა და გვარის ცვლილებაზე, პერსონალური იდენტიფიცირებისა და ოჯახთან კავშირის დამყარების უფლება ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს და საკონსტიტუციო სასამართლოსაც თავის პრაქტიკაში არაერთხელ უთქვამს, რომ პირადი ცხოვრების უფლება იცავდა სახელზე უფლებას.

უფლება სახელის ან/და გვარის შეცვლაზე პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის იდენტობასთან. გვარს გააჩნია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა, კონკრეტული გვარის ტარებით, ინდივიდი გამოხატავს სურვილს, იდენტიფიცირებული იყოს ოჯახთან ან თავის წარმომავლობასთან, ანდა პირიქით – გვარის შეცვლით, ინდივიდს, შესაძლოა, სურდეს, რომ არ იყოს იდენტიფიცირებული საკუთარ ოჯახთან. ვინაიდან სახელისა და გვარის უფლება კონსტიტუციით დადგენილ პირადი ცხოვრების უფლების დამცავ სხვა დებულებებში არ არის ამოკითხვადი,¹ ამიტომ პირადი ცხოვრების უფლების ეს კომპონენტი საკონსტიტუციო სასამართლომ მოაქცია პიროვნული განვითარების უფლებით დაცულ სფეროში.

შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა პირის იდენტიფიცირება და ტრადიციის დაცვა. ამ უკანასკნელის მიხედვით, თუკი ადამიანი ორ გვარს ატარებს, ტრადიციების გამო, საზოგადოების წევრები მიიჩნევენ, რომ ეს ორი გვარი ან ორივე მშობლის გვარია ან ადამიანმა საკუთარი გვარი მეუღლის გვართან გააერთიანა. თუკი პირი საკუთარ გვარს ბებულის გვარს შეუერთებს, საზოგადოება შეცდომაში შევა. საკონსტიტუციო სასამართლომ არც ერთი ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ გაიზიარა. ადამიანის იდენტიფიცირება ხდება უნიკალური პირადი ნომრით და არა გვარით. რაც შეეხება ტრადიციას, იმისთვის, რომ ადამიანის უფლება შეიზღუდოს, ლეგიტიმური მიზანი უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებიდან. ნებისმიერი მიზანი, მათ შორის ისეთი, რომელიც არ ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს, ვერ შეზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას. საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ტრადიცია, ვერც ერთ შემთხვევაში იქნება ადამიანის სოციალური იდენტობის, ასევე არჩევანის შეზღუდვის საფუძველი. ამგვარად ტრადიციის დაცვა არ წარმოადგენს ისეთ ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს, რომლითაც კონსტიტუციური უფლება შეიძლება შეიზღუდოს. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის გამო, სადავო ნორმა თვითმიზნურად იქნა მიჩნეული და საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა თანაზომიერების ტესტის სხვა საფეხურების გავლის გარეშე.

15. ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ (N1/2/622, 2017)

ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე პირის მონაცემების უვადოდ შენახვა. თავდაპირველად სასამართლომ განაცხადა, რომ პიროვნული განვითარების უფლება იცავს ადამიანის შესაძლებლობას, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში. სადავო ნორმა ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის შესახებ ინფორმაციის შენახვას, რის გამოც ადამიანს აღარ აქვს შესაძლებლობა, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების წინაშე. ამით, სადავო ნორმა ერევა პიროვნული განვითარების უფლებაში.

ჩარევის ლეგიტიმური მიზანი იყო სამართალდარღვევის რეციდივზე რეაგირება. კერძოდ, ერთი წლის განმავლობაში იმავე სამართალდარღვევის განმეორებითი ჩადენა

¹ გადაწყვეტილების მიღების დროს ჯერ კიდევ არ არსებობს კონსტიტუციის მე-15 მუხლის 2017 წლის რედაქცია, რომლითაც პირდაპირ არის გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუვალობის უფლება.

იწვევს უფრო მკაცრ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მონაცემების შენახვა მართლწესრიგის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას ემსახურებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის უვადოდ შენახვის ნაცვლად, ნაკლებად მზღუდავი საშუალება იქნებოდა მისი შენახვა ერთი წლის ვადით, რომლის გასვლის შემთხვევაშიც ითვლება რომ ადამიანი არ იყო ადმინისტრაციულ სახდელდადებულად ცნობილი. ასევე ზოგიერთი სახდელის აღსასრულებლად დაწესებულია სამი წელი. ამ შემთხვევაში გამართლებული იქნება პერსონალური მონაცემების შენახვა სახდელის აღსრულების ვადით.

გარდა ამისა, მონაცემების შენახვას, შესაძლოა, ჰქონდეს ანალიტიკური მიზნები. მაგალითად, სახელმწიფოს სჭირდებოდა, ღროის კონკრეტულ პერიოდში კანონდარღვევის ზოგადი ტენდენციების გამოკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრა. საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კანონდარღვევის ტენდენციების გამოვლენა შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის შესახებ მონაცემების დეპერსონალიზებული ფორმით შენახვის გზითაც და სამართალდამრღვევ პირზე პერსონალური მონაცემის უვადოდ შენახვა ამისათვის არ იყო აუცილებელი. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ყველა სამართალდარღვევა არ არის ერთნაირი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი. ამის მიუხედავად, ყველა მონაცემი ინახება უვადოდ. ეს შეეხება ისეთ სამართალდარღვევებს, რომლის შემადგენლობაც გააუქმა პარლამენტმა ან არაკონსტიტუციურად სცნო საკონსტიტუციო სასამართლომ. შენახვის ხანგრძლივობის თვალსაზრისით არ ხდება სამართალდარღვევების არავითარი კატეგორიზაცია. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა პიროვნული განვითარების უფლების დარღვევა.

16. ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (N1/13/878, 2017)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო ჰომოსექსუალი მამაკაცისათვის სისხლის დონორობის უვადოდ აკრძალვა პიროვნული განვითარების უფლებასთან და დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებაში. მოპასუხე მხარემ ტერმინი „ჰომოსექსუალიზმი“ შეცვალა სიტყვით „მსმ“ (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს სხვა მამაკაცთან) და სისხლის დონორობის უვადოდ აკრძალვა ძალაში დატოვა მსმ-თან მიმართებაში. თუკი ტერმინი „ჰომოსექსუალობა“ მიუთითებდა სექსუალური ორიენტაციაზე, მსმ-ი მიუთითებდა სექსუალურ ქცევაზე. თუმცა ეს განსხვავება არ იყო საკმარისი დონორობის უვადოდ აკრძალვის ძალაში დასატოვებლად. ამიტომ 2017 წლის 20 მარტს საიამ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მსმ-სთვის სისხლის დონორობის უვადოდ დაწესებული აკრძალვის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების დამძლეად ცნობა მოითხოვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მსმ-ისათვის სისხლის დონორობის უვადოდ აკრძალვა წარმოადგენდა ადამიანის მოქმედების თავისუფლებაში ჩარევას. დონორობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე არის ქველმოქმედების, ადამიანური სოლიდარობის ერთ-ერთი გამოვლინება. დონორობის სამუდამო აკრძალვა მსმ ადამიანს უკრძალავს თვითრეალიზების და შესაბამისად, პიროვნული განვითარების შესაძლებლობას.

მსმ ქცევა ხასიათდება აივ-შიდსის დაინფიცირების მაღალი რისკით, შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის პირების სისხლის დონორობის აკრძალვა ემსახურება აივ-ინფექციის თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და არის ამ მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება. ამის მიუხედავად, ბლანკეტური აკრძალვა არ აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნებს. ინფექციური დაავადება იდენტიფიცირება არ არის შესაძლებელი სარისკო სექსუალური ქცევიდან განსაზღვრული დროის მანძილზე. ამ პერიოდს უწოდებენ „ფანჯრის პერიოდს,“ რომლის გასვლის შემდეგ, არსებობს აივ-ვირუსის აღმოჩენის და ასეთი პირების სისხლის დონორობისაგან ჩამოცილების შესაძლებლობა. ხოლო მსმ-ებს, რომელსაც „ფანჯრის პერიოდის მიღმა“ არ აღმოაჩნდებათ აივ-ინფექცია, უნდა მიეცეთ სისხლის დონორობის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც მსმ-ს სიცოცხლის ბოლომდე უკრძალავს დონორობის უფლებას, არღვევს პიროვნული განვითარების უფლებას და ამიტომ ამ საქმეში დადგინდა კონსტიტუციის მე-12 მუხლის დარღვევა.

17. ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (N2/16/1346, 2019)

წინა თავში მიღებული განჩინებით მსმ-ისთვის დაწესებული უვადო აკრძალვა ძალადაკარგულად გამოცხადდა. ამის სანაცვლოდ, ჯანდაცვის მინისტრმა ცვლილებები შეიტანა თავის ბრძანებაში და ბოლო მსმ ქცევიდან 10 წლის განმავლობაში აუკრძალა ადამიანს სისხლის დონორობის უფლება. ეს რეგულაცია საიამ, ორივე მოსარჩელის სახელით, 2018 წლის 23 აგვისტოს გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში და განმაწესრიგებელ სხდომაზე მისი ძალადაკარგულად ცნობა მოითხოვა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წინა გადაწყვეტილებების დამძლველი ნორმის.

საკონსტიტუციო სასამართლომ სრულიად გაზიარა საიას მოთხოვნა და განაცხადა, რომ ფანჯრის პერიოდი შეუძლებელია გაგრძელდეს 10 წელს ბოლო მსმ ქცევიდან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, დონორობის აკრძალვა 10 წლის ვადით, უვადო აკრძალვას უთანაბრდება. უვადო აკრძალვაც და 10 წლიანი აკრძალვის ვადაც ორივე გრძელდება „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა, რაც არ აკმაყოფილებს პიროვნული განვითარების უფლების შეზღუდვის აუცილებლობის მოთხოვნებს.

შესაბამისად, სისხლის დონორობის აკრძალვის 10 წლიანი შეზღუდვაც, საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. ამის შემდგომ ჯანდაცვის მინისტრმა სისხლის დონორობის აკრძალვის პერიოდი ბოლო მსმ ქცევიდან 1 წლით შეზღუდა.

ადამიანის თავისუფლება (მუხლი 13)

18. საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიშვილი, რევაზ ჯიმშარიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/182,185,191, 2003)

ამ საქმეში საიას თანამშრომლები თინა ხიდაშელი და გიორგი ჩხეიძე იცავდნენ საქართველოს სახალხო დამცველის ინტერესებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილებაში გასაჩივრებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც დაკავების შესაძლებლობას ითვალისწინებდა მაშინ, როცა „დანაშაულის ჩადენის ეჭვი შეიძლება იქნეს მიტანილი პირზე.“ საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ეს იყო ბუნდოვანი ფრაზა, საიდანაც არ ირკვეოდა უკვე ჩადენილ დანაშაულზე იყო საუბარი თუ დანაშაულის შესაძლოა ჩადენაზე. ამიტომ მიჩნეული იქნა, რომ კანონი სათანადოდ არ განსაზღვრავდა დაკავების შემთხვევას და საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ნორმა არაკონსტიტუციურად სცნო.

ამასთან ადამიანის დაკავება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მისი ვინაობა დაუდგენელი იყო. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირთან დაკავებულის მიყვანის შემდეგ „დაუყოვნებლივ“ დგება დაკავების ოქმი. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი, დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ, ითვალისწინებს „დანაშაულის ჩადენის ადგილას დაკავების კანონიერებისა და დასაბუთებულობის“ შემოწმებას, რომელიც უნდა დასრულდეს „პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში დაკავებულის მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა“. ამავე კოდექსის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს, რომ, როცა მოკვლევის ორგანოს უფროსი ან მოკვლევის ორგანოს სხვა უფლებამოსილი თანამდებობის პირი ზემოთ აღნიშნულ შემოწმებას დაამთავრებს, დაკავებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში იგი ვალდებულია, პროკურორის თანხმობით, გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების, ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და დაკავებულის განთავისუფლების შესახებ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ გამოეცხადება ხელწერილით ეჭვმიტანილს, რომელსაც იმავედროულად განემარტება კოდექსის 73-ე მუხლში აღნიშნული მისი უფლებები. ანალოგიური შინაარსის იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის თანახმად, პირის დაკავების შემთხვევაში დადგენილება სისხლის

სამართლის საქმის აღძვრისა და მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი უნდა იქნეს პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში დაკავებულის მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ნორმები არაკონსტიტუციურად მიიჩნია, ვინაიდან შესაძლებელი იყო ადამიანის დაკავება მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ვინაობა იყო დაუდგენელი ან ასეთ ადამიანს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

ასეთი ადამიანი მიჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში, მართალია ადამიანს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, თუმცა პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში მას არ ჰქონდა ეჭვმიტანილის სტატუსი და არც დაკავებულად ითვლებოდა. 12 საათის განმავლობაში პოლიცია აგროვებდა ასეთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებას (მანამდე ეს მტკიცებულება არ არსებობს, ვინაიდან ადამიანი პოლიციის განყოფილებაში მიყვანეს იმის გამო, რომ მას საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდა ან უცნობი იყო მისი ვინაობა). თუ 12 საათში პოლიცია შეაგროვებდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში მამხილებელ მტკიცებულებას, ამ პირს, დადგენილებით, ეჭვმიტანილად ცნობდნენ და სწორედ ამ მომენტიდან აითვლებოდა დაკავების 48 საათიანი კონსტიტუციური ვადა და სასამართლოსათვის მისი წარდგენის 24 საათიანი ვადა. ეჭვმიტანილად ცნობამდე გასული 12 საათი არ იანგარიშებდა დაკავების 72 საათიან ვადაში. ჯამში სასამართლოს გარეშე ადამიანი დაკავებული იყო 84 საათი და არა 72 საათი. რაც არღვევს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. იმავდროულად, ადამიანს თავის უფლებებს აცნობდნენ დაკავებიდან 12 საათის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც მას ეჭვმიტანილად სცნობდნენ. ეს გარემოება არღვევდა კონსტიტუციის მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტს, რომლის მიხედვითაც, პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. ასევე პირი მხოლოდ დაკავებიდან 12 საათის შემდეგ, სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით, მაშინ, როდესაც კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება ეჭვმიტანილის პირველ დაკითხვამდე, აგრეთვე პირველი და შემდგომი დაკითხვების დროს.“ ეჭვმიტანილის პირველი დაკითხვა კი ტარდებოდა დაკავებიდან არაუგვიანეს 24 საათისა. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ეჭვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროებოდა არა მხოლოდ დაკითხვისას, არამედ დაკავებისთანავე. ამიტომ ეს ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

19. გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/1/263, 2005)

2005 წლის 4 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის პირველი დებულება, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, “და-

მრღვევი პოლიციის მუშაკმა ან სახალხო რაზმეულმა ამ მიზნით შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში ან ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შტაბში.” საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნორმაში არაკონსტიტუციურად სცნო სახალხო რაზმეულის მიერ პირის დაკავება და მისი სახალხო რაზმეულის შტაბში მიყვანის შესაძლებლობა.

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ “სახალხო რაზმეული ფაქტობრივად არ არსებობს, სადავო ნორმა ძალაშია, მოქმედებს და იძლევა პირის გაუთვალისწინებელ შემთხვევებში თვითნებური დაკავების საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლს, რომლის თანახმად, “ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ”. ვინაიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედი არანაირი სამართლებრივი აქტი არ არეგულირებს თუ რას წარმოადგენს “სახალხო რაზმეულის” ინსტიტუტი და არ არის მოწესრიგებული მისი კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი, სახალხო რაზმეულის მიერ ადამიანის დაკავება და მისი რაზმეულის შტაბში მიყვანა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-13 მუხლს, რომლის თანახმად, ადამიანის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საამისოდ საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

20. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)

ამ საქმეზე გასაჩივრებული იყო „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, პაციენტი ნებაყოფლობითი მკურნალობისათვის სტაციონარში თავსდება, პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის თხოვნითა და ინფორმირებული თანხმობით“. მოსარჩელე აცხადებდა, რომ ეს ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ და მეორე პუნქტს. კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის თავისუფლება დაცულია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფლების უფლებაში ჩარევა არ იქნება მაშინ, როცა პირი საკუთარი სურვილით, თუნდაც განუსაზღვრელი ვადით თავსდება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევასთან გვექნება საქმე, როცა ადამიანის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება ხდება მისი ნების საწინააღმდეგოდ. ადამიანის ნება - მოთავსებული იქნას კონკრეტულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში - გამოხატულად არ ითვლება, როდესაც ამას აკეთებს მესამე პირი, მათ შორის, პაციენტის მეურვე. მეურვის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე ადამიანის მოთავსება ფსიქიატრიულ კლინიკაში, როცა თავად პაციენტი ამის წინააღმდეგია ან პაციენტს არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების და ნამდვილი ნების გამოხატვის შესაძლებლობა, მიჩნეული უნდა იქნეს თავისუფლების უფლებაში ჩარევად.

სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ ადამიანის თავისუფლების აღკვეთაზე გადაწყვეტილებას არასასამართლო ორგანოები - პირის მეურვე და ფსიქიატრიული კლინიკა - იღებდნენ. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით,

ფსიქიატრიული დაწესებულების და მეურვის გადაწყვეტილებით პირის მოთავსება კლინიკაში დასაშვებია 48 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ, სტაციონარში მკურნალობის გაგრძელების გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს. ვინაიდან სადავო ნორმა ითვალისწინებდა პირის მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მარტოდენ მეურვის თანხმობით, სასამართლოს მონაწილეობის გარეშე, ირდვეოდა კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ და მეორე პუნქტები.

მიმოსვლის თავისუფლება (მუხლი 14)

21. სერგო მუშლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (□1/4/212, 2004)

ამ საქმეში დავის საგანი იყო “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონის 24-ე მუხლის მეორე პუნქტი, სადაც აღნიშნული იყო: „საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა უცხოელებმა საქართველოდან გასვლისას სხვა სათანადო დოკუმენტებთან ერთად შესაბამის ორგანოებში უნდა წარადგინონ საქართველოდან გასვლის ვიზა.“ კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტში ჩაწერილი სიტყვა „ყველაში“ იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი: საქართველოს მოქალაქე, სხვა ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირები. ყველას, მათ შორის, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, კონსტიტუცია ანიჭებს ქვეყნის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობას. ეს თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს დაბრკოლება არ უნდა დაუწესდეს, რათა დატოვოს საქართველო. იმისათვის, რომ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს საქართველო დაეტოვებინა, მას საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისგან უნდა აიღოს ქვეყნიდან გასვლის ვიზა, რაც საქართველოს თავისუფლად დატოვების უფლების შეზღუდვას წარმოადგენს. ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მიზეზების მისაღწევად: დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელისათვის ქვეყნიდან გასასვლელი ვიზის დაწესება არ ემსახურება კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული არც ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ამიტომ ირღვეოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მეორე მუხლის მოთხოვნები. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნიდან გასასვლელად არ ესაჭიროებოდათ ქვეყნიდან გასასვლელი ვიზის აღება. ეს მოთხოვნა დაწესებული იყო მხოლოდ იმიგრანტისთვის - უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კონსტიტუციის 33-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამ კონსტიტუციურ დებულებაზე დაყრდნობით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ როგორც საქართველოს მოქალაქეებს არ მოეთხოვებათ ქვეყნიდან გასასვლელი ვიზის აღება, იგივე მოთხოვნა არ შეიძლება დაუწესდეს უცხოელს. ამ სამართლებრივ ურთიერთობაში უცხოელი და საქართველოს მოქალაქე თანასწორები იყვნენ. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას სარჩელი.

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები (მუხლი 15)

22. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/407, 2007)

ამ საქმეზე მოსარჩელე იყო საია და მისი იმდროინდელი თანამშრომელი ეკატერინე ლომთათიძე. დავის საგანს წარმოადგენდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მე-სახეზე“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, რომლის მიხედვით, „ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით“.

მოსარჩელის მტკიცებით, ეს ნორმა მოსამართლის თანხმობის გარეშე სატელეფონო საუბრის მოსმენას ითვალისწინებდა შემდეგ შემთხვევაში, იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სადავო ნორმის ბოლო ორი წინადადება პირველი წინადადებისგან, რაც მოსამართლის კონტროლს ითვალისწინებდა ფარული სატელეფონო საუბრის მოსმენისათვის, გამოყოფილი იყო „ან“ კავშირით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ნორმა იყო ბუნდოვანი და იძლეოდა იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომ სატელეფონო საუბრის მოსმენა მოსამართლის თანხმობის გარეშე იყო შესაძლებელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ საიას ეს სარჩელი დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შემზღუდველი ნორმებისადმი მოთხოვნები, ზოგადად, მათ ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, გაცილებით მკაცრია, ვიდრე ჩვეულებრივ გამოიყენება ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. ეს ძირითადად განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ტარდება ფარულად; პირი არ მონაწილეობს იმ სასამართლო პროცესში, სადაც უნდა გადაწყდეს მის მიმართ სატელეფონო საუბრის მოსმენის საკითხი; გართულებულია ე.წ. „მესამე პირების“ ინტერესების ადეკვატური დაცვა. ესენი არიან პირები, რომლებიც ტელეფონით უკავშირდებიან პირს, რომელიც წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოს სამიზნეს. ამის გამო ხდება ამ მესამე პირის სატელეფონო საუბრის ჩაწერა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პირად სივრცეში ჩარევა უნდა მოხდეს სასამართლოს ბრძანების ან გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში. გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად

არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება არ არსებობს მაშინ, როცა არამართლზომიერი ქმედების მსხვერპლის განცხადებაში მითითებული გარემოების დასადაგენად აუცილებელია სატელეფონო მოსმენა. ან სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ უნდა არსებობდეს სასამართლო კონტროლი, რასაც გამორიცხავს „ან“ კავშირით გამოყოფილი ორი წინადადება.

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მხარე არ გამორიცხავს ნორმის წაკითხული იქნეს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსით. ის, რომ არსებობს კონსტიტუციის შესაბამისი პრაქტიკა, როცა მსხვერპლის განცხადების ან ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რამაც შესაძლოა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა გამოიწვიოს, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები ყოველთვის მიმართავენ მოსამართლეს თანხმობაზე, არ გამორიცხავს ამ ნორმის საწინააღმდეგო შინაარსით წაკითხვას. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა.

23. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/1/484, 2012)

ამ საქმეში მოსარჩელე იყო თავად საია და მისი იმდროინდელი თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი. ამ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად: „თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი მონაცემების შეგროვებას, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით, პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე“ ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სატელეფონო საუბრის მოსმენა იყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ერთ-ერთი სახე. ვინაიდან სადავო ნორმა ითვალისწინებდა ნებისმიერი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადის ექვსი თვით გაგრძელებას და ამისათვის საკმარისი იყო პროკურორის თანხმობა, მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ სადავო ნორმა არღვევდა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სატელეფონო საუბრის მოსმენა სასამართლოს თანხმობით ითვალისწინებდა. სადავო ნორმა კი სატელეფონო მოსმენის გასაგრძელებლად არ ითვალისწინებდა მოსამართლის თანხმობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა ის, რომ მას შემდეგ, რაც ამოიწურებოდა სასამართლოს ბრძანებაში სატელეფონო საუბრის მიყურადების ვადა, პროკურორს სატელეფონო საუბრის მოსმენა საერთო სასამართლოს თანხმობის გარეშე გაეგრძელებინა. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, მოსამართლის ბრძანებით შესაძლოა განხორციელდეს სატელეფონო საუბრის მოსმენა, ხოლო სასამართლოს ბრძანებაში მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ, მოსმენა გაგრძელდეს პროკურორის თანხმობით. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ის, რომ სადავო ნორმა მიემართებოდა ყველა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, მათ შორის სატელეფონო საუბრის მოსმენას. სადავო ნორმა პირდაპირ არაფერს ამბობდა იმის

თაობაზე, რომ ვადის 6 თვით გაგრძელება მხოლოდ ისეთ ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებას უკავშირდებოდა, რაც სატელეფონო საუბართან არ იყო დაკავშირებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სატელეფონო საუბრის მოსმენა ხდება მოსამართლის გადაწყვეტილებით ან ამის გარეშე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. გადაუდებელი აუცილებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, როცა მოსამართლისათვის თანხმობის მისაღებად დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში პროკურორის თანხმობით და სასამართლოს მონაწილეობის გარეშე სატელეფონო მოსმენის გაგრძელება ხდება 6 თვით. ასეთი ხანგრძლივი ვადით სატელეფონო მოსმენის დატოვება მოსამართლის თანხმობის გარეშე სრულებით არ მეტყველებდა გადაუდებელ აუცილებლობაზე.

ამგვარად, იმის გათვალისწინებით რომ არ იყო დაკმაყოფილებული კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმალური მოთხოვნები: სატელეფონო საუბრის მოსმენა ხორციელდებოდა 6 თვით, გადაუდებელი აუცილებლობისა და სასამართლოს თანხმობის გარეშე, ირღვეოდა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

24. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/2/519, 2012)

ამ საქმეში მოსარჩელე იყო საია და მისი იმდროინდელი თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი. ამ საქმეში დავის საგანი იყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სახეს განეკუთვნება დახურული ინტერნეტ ურთიერთობების მონიტორინგი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა ამ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განსახორციელებლად სასამართლოს თანხმობას.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: პირადი ცხოვრებით დაცულია პირების კერძო სფერო (სივრცე). აქ იგულისხმება როგორც კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა), ისე განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში გასაჯაროებაც სურს პირს. კერძო, პირად სივრცეს (სფეროს) ადამიანი თავად ქმნის და აქვს გონივრული მოლოდინი, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა. პირადი ცხოვრების ამ უფლებრივი კომპონენტების ფარგლებში დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. ამ თვალსაზრისით, ინტერნეტის მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა მოიცავდა დახურულ ინტერნეტ ურთიერთობაში მონაწილეობას ან დაკვირვებას. სასამართლოს თანხმობა არ სჭირდება იმ შემთხვევას, როცა კონფიდენტი შედის ნდობაში იმ პირთან, ვინც იცის ინფორმაცია დანაშაულის შესახებ და მისგან ინტერნეტით იღებს ინფორმაციას. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სიტყვას „დაკვირვებას“ როცა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი პირი ფარულად აკვირდებოდა სხვა ადამიანების დახურულ, არასაჯარო საუბარს ინტერნეტით. სადავო ნორმა სატელეფონო საუბრისგან განსხვავებით არ ითვალისწინებდა მოსამართლის ბრძანებას დახურულ ინტერნეტ ურთიერთობაზე დაკვირვებისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, იმის გამო, რომ პირად სივრცეში მიყურადება ფარული ხასიათის იყო, განურჩევლად იზრდება ადმასრულებელი ხელისუფლების ცდუნება, ბოროტად გამოიყენოს მისი უფლებამოსილება. ასეთ პირობებში საჭიროა ნეიტრალური, ადმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანო აკონტროლებდეს ფარული თვალთვალის პროცესს, რათა თავიდან იქნეს თვითნებობის რისკები. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დახურულ ინტერნეტ ურთიერთობის დაკვირვებაზე კონსტიტუცია ითხოვდა სასამართლო კონტროლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სადავო ნორმაში არ იყო აღნიშნული, რომ დახურულ ინტერნეტ ურთიერთობაზე დაკვირვება ხდებოდა სასამართლოს ბრძანებით. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ როცა კანონმდებელი ჩამოთვლიდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სახეებს, ყოველთვის მიუთითებდა იმას, რომელი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩასატარებლად იყო აუცილებელი სასამართლოს ბრძანება. სადავო ნორმაში დახურულ ინტერნეტ ურთიერთობაზე დაკვირვებისათვის სასამართლოს ბრძანების აუცილებლობაზე ასეთი მითითება არ გვხვდება.

რაც შეეხება მოსამართლის თანხმობის ალტერნატიულ პირობას, გადაუდებელ აუცილებლობას, სადავო ნორმა არ ადგენს დროის მოკლე პერიოდს და ვითარებას, როცა სასამართლოს თანხმობის გარეშე ამ ღონისძიების გამოყენება იქნება შესაძლებელი. ნორმა ადგენს მხოლოდ დახურული ინტერნეტ ურთიერთობის ინსტიტუტს, რაც ვერ იქნება ამ ღონისძიების გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში გამოყენებასთან გაიგივებული. იმის გამო, რომ სადავო ნორმა დახურულ ინტერნეტ საუბრებზე დაკვირვებას ითვალისწინებდა სასამართლოს თანხმობის გარეშე, იმავდროულად ამ ღონისძიების განსახორციელებლად არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა.

25. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიპა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/1/625,640, 2016)

** ამ საქმეში საია წარმოადგენდა მოსარჩელების: ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“, გიორგი გოცირიძის ინტერესებს.*

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მიერ სატელეფონო საუბრის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ორი წლის ვადით შენახვა. მაიდენტიფიცირებელია მონაცემი მიუთითებს ვის შორის განხორციელდა კომუნიკაცია, რამდენ ხანს გაგრძელდა კომუნიკაცია, სად იმყოფებოდნენ სატელეფონო საუბრის მონაწილეები. ამავე საქმეში გასაჩივრებული იყო ნორმა, რომლის მიხედვითაც, სუს-ს სატელეფონო საუბრის შინაარსის მოსმენა და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ჩაწერა შეეძლო მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანხმობით, იმ პირობებში, როცა საუბრის შინაარსის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ჩაწერა ტექნიკურ შესაძლებლობებს (ე.წ. გასაღები) ფლობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სატელეფონო საუბრების მიყურადების ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სადავო ნორმით გათვალისწინებული ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა (საუბრის ჩაწერა სუს-ის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ერთობლივი თანხმობით), ერთი მხრივ, მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ გამოირიცხოს ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე მოსმენების შესაძლებლობა, რაც დამატებით გარანტიად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა, ამავე დროს, ის ვერ ჩაითვლება სატელეფონო საუბრების მიყურადებაზე საკმარისი კონტროლის მექანიზმად, სრულად ვერ უზრუნველყოფს სატელეფონო საუბრების მიყურადების შესაძლებლობაზე კონტროლს, შედეგად, ვერ გამოირიცხავს ინსპექტორის თანხმობის გარეშე და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების მიღმა სატელეფონო მოსმენების განხორციელების შესაძლებლობას. ინსპექტორი ელექტრონულ თანხმობას აძლევს მხოლოდ მასთან მიწოდებულ ინფორმაციაზე, ისევე, როგორც მხოლოდ ასეთ ინფორმაციაზე ახდენს შემდეგ კონტროლს, თუმცა ეს სქემა, სულ მცირე, ტექნიკურად ვერ გამოირიცხავს, ინსპექტორის მიღმა სუს-ის მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენას. აღსანიშნავია, რომ სუს-ის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე არ გამოირიცხა პარალელური მოსასმენი სისტემის დამონტაჟება, რომელიც ხელმისაწვდომი არ იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის.

არსებული სისტემის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თავად ქმნის, ფლობს ფარული მოსმენების განსახორციელებლად მონიტორინგის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების „მასობრივ“ (პრაქტიკულად შეუზღუდავ) შესაძლებლობას იძლევა. ეს შესაძლებლობა მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის ამჟამად ხელთ არსებული

ტექნიკური საშუალებების სიმძლავრით არის შეზღუდული, ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს ამ სისტემის ადმინისტრირებას, ფლობს და კომუნიკაციის წყაროებთან განათავსებს ტექნიკურ საშუალებებს. ამ პირობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, გასცეს თანხმობა „ობიექტის აქტივაციაზე“ (მოსმენებზე) და განახორციელოს აღნიშნული სისტემის შემოწმება, მართალია, ემსახურება პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხის შემცირებას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება ამ პროცესზე გარე კონტროლის საკმარის და ეფექტურ შესაძლებლობად.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რაც საგრძნობლად გაამარტივებს ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესს, ისევე, როგორც უფრო ეფექტურს გახდის დანაშაულის პრევენციას. მაშასადამე, რისკის მაღალ ხარისხს სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურის ბუნება, მათი ფუნქცია განაპირობებს. კერძოდ, როდესაც სტრუქტურა პასუხისმგებელია წარმატებულ გამოძიებაზე, ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად მის ინტერესში შედის მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, მათ შორის პარალელური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მიღმა არსებული ინფრასტრუქტურულიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. ვინაიდან სადავო ნორმები იძლეოდა სატელეფონო საუბრის მოსმენის და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, მოსამართლის თანხმობის ან გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების გარეშე, მოპოვების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება ისე წაიკითხა, რომ პრობლემა მხოლოდ სუს-ის დამოუკიდებლობა იყო. ამიტომ ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი გამოყო სუს-ის დაქვემდებარებაში არსებულ ცალკე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. ეს ცვლილებაც გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში, თუმცა ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები (მუხლი 16)

26. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საიას Amicus Curiae, N1/1/477, 2011)

2011 წლის 22 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც გამოირიცხავდა სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულების შეცვლას სამოქალაქო ხასიათის ალტერნატიული შრომითი სამსახურით.

საიას მიერ წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ სარეზერვო სამსახურში ვალდებულების მოხდა დაკავშირებულია იარაღის გამოყენებასთან. ადამიანის რელიგიური მრწამსი ან ისეთი არარელიგიური მრწამსი როგორიც პაციფიზმია, შესაძლოა, ადამიანს უკრძალავდეს იარაღთან შეხებას, შესაბამისად, სარეზერვო სამსახური შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ადამიანის რელიგიური ან არარელიგიური მრწამსის შინაგან ასპექტთან (Forum Internum). ადამიანის იძულება, გაიაროს სარეზერვო სამსახური, როცა ამ ვალდებულების მიმართ პირს გააჩნია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, არის Forum Internum-ში ჩარევა. საია სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში ამტკიცებდა, რომ რელიგიის და რწმენის თავისუფლება კრძალავდა Forum Internum-ში ჩარევას. იმისათვის, რომ სახელმწიფოს წინაშე საქართველოს მოქალაქეების ვალდებულებები თანაბრად გადანაწილებულიყო, პირები, რომლებსაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ჰქონდათ სარეზერვო სამხედრო სამსახურთან, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ უფრო ხანგრძლივი სამოქალაქო ხასიათის სავალდებულო შრომითი სამსახურით.

აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები (მუხლი 17)

27. ბენიკ ჭათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მაღაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/5/1271, 2019)

საიას სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც აწესებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კერძო საკუთრებაზე ბანერის განთავსებისათვის, თუკი მერიას ამაზე არ ჰქონდა თანხმობა გაცემული.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან სადავო ნორმა კერძო მესაკუთრეს უკრძალავდა თავისი შენობის ფასადზე პლაკატის გამოფენას ან მესაკუთრის თანხმობის საფუძველზეც კი, პირი შენობის ფასადზე პლაკატს ვერ განათავსებდა, თუკი არ არსებობდა მერიის თანხმობა, ამით იზღუდებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული აზრის გამოხატვის თავისუფლება.

სადავო ნორმით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა ქალაქის იერსახის დაცვა. პლაკატის თუნდა დროებით განთავსება ახდენდა იერსახის შეცვლას, რაც სხვა ადამიანებს უსპობდა შესაძლებლობას, ესარგებლათ ბუნებრივად და ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლების ხელით. პლაკატის განთავსებას შესაძლოა შენობისათვის დაეკარგა ესთეტიკური და ტურისტული მნიშვნელობა. ამგვარად, შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი შეესაბამებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სხვათა უფლებების დაცვას, რაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად შეიძლება გამოდგეს. თანაზომიერების ტესტის გამოყენებით, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელი (ნაკლებად მზღუდავი) საშუალება.

რასაც სადავო ნორმა არ აკმაყოფილებდა, ეს იყო, ვიწრო გაგებით, პროპორციულობის მოთხოვნები. სადავო ნორმა, მათ შორის, ზღუდავდა სპონტანური პროტესტის გამოხატვის სახით ბანერის შენობაზე განთავსებას. იმისთვის, რომ ბანერის კერძო საკუთრებაზე განთავსება არ ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საჭირო იყო ბანერის პროექტის მერიასთან შეთანხმება. მერია ბანერის პროექტს ითანხმებდა ხუთი დღის ვადაში. მერიისგან ამგვარი თანხმობის მიღების შემთხვევაში იყო შესაძლებელი ის, რომ ადამიანს საკუთარი შენობიდან ბანერი ისე გამოეფინა, რომ არ დაკისრებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადამიანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდებოდა სპონტანური პროტესტის შემთხვევაში. ამ უკანასკნელთან გვაქვს საქმე, როდესაც პროტესტის გამოხატვის მიზეზი წარმოიშვა ისეთ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის დადგომასაც, თუნდაც რამდენიმე დღით ადრე, პროტესტის მონაწილე წინასწარ ვერ განსაზღვრავდა. ბანერის გადმოფენის გზით ამ არაპროგნოზირებად მოვლენაზე აუცილებელია სასწრაფო რეაგირება, ვინაიდან 5 დღის გასვლის შემდეგ პროტესტის ეს ფორმა აზრს დაკარგავს.

სპონტანური პროტესტის შემთხვევა იყო მოსარჩელეთა საქმე: მოსარჩელები იყვნენ ოპოზიციური პარტიის წევრები, რომლებიც საქმიანობდნენ ქალაქ ოზურგეთში. მოსარჩელებმა ოზურგეთში ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსიდან გადმოფინეს ნაჭრის ბანერი, წარწერით „მატყუარა მთავრობა.“ ამ ბანერის ადრესატი იყო პრემი-

რ-მინისტრი, რომელიც იმ დღეს ქალაქ ოზურგეთში ჩავიდა. მოსარჩელების მიზანი იყო, პრემიერ-მინისტრს წაეკითხა ეს ბანერი. მოსარჩელებს ხუთი დღით ადრე ვერ ეცოდინებოდათ პრემიერ-მინისტრის ოზურგეთში ვიზიტის შესახებ და ისინი ბანერის პროექტს მერიასთან ვერ შეათანხმებდნენ. ამასთან პრემიერ-მინისტრის წასვლის შემდეგ, კორპუსიდან ბანერის გადმოფენა აზრს კარგავდა, ვინაიდან ქალაქი ოზურგეთის დატოვების გამო პრემიერ-მინისტრი მას ვერ წაიკითხავდა. სამივე მოსარჩელე იყენებდა სპონტანური პროტესტის უფლებას კერძო საკუთრებაში არსებული კორპუსიდან ბანერის გადმოფენის გზით. ამის მიუხედავად, პოლიციამ კორპუსს ბანერი მაშინვე მოაცილა, ხოლო მოსარჩელები სამართალდამრღვევებად გამოცხადდნენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ის, რომ ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის არ იყო სამართლიანად დამყარებული. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სადავო ნორმა ქალაქის იერსახის დაცვის სახელით, მთლიანად გამორიცხავდა სპონტანური პროტესტის გამოხატვის მიზნით შენობიდან ბანერის გამოფენას. საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხის მოსაზრებას, რომელმაც განაცხადა, რომ ბანერის გადმოფენის და შენობის იერსახის შეცვლის ნაცვლად, მოსარჩელებს ჰქონდათ სპონტანური პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა ბანერის ხელში დაჭერის გზით. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანი თვითონ ირჩევს იმას, თუ რა საშუალებით გამოხატოს თავისი აზრი. ამასთან პლაკატის ხელში დაკავება ვერ ჩაანაცვლებდა შორი მანძილიდან ხილვადი დიდი ბანერის შენობიდან გადმოფენას. ადამიანისათვის გამოხატვის ფორმის ამგვარი ჩანაცვლების ვალდებულების დაკისრება შეასუსტებდა გამოხატვის თავისუფლების ეფექტს - პროტესტმა მიაღწიოს ადრესატამდე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბანერი, საღებავისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან და გამოუსწორებელ ზიანს არ აყენებს შენობის ფასადს. როდესაც პროტესტის მიზეზი დასრულდება ზედმეტი დანახარჯების გარეშე აღვილია ამგვარი ბანერის მოცილება შენობიდან. ამასთან ბანერი შენობაზე უნდა იყოს განთავსებული იმ ვადით, რაც აუცილებელია სპონტანური პროტესტის წარმართვისათვის.

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები (მუხლი 18)

28. კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/1312, 2020)

2020 წლის 18 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, რომელიც დაზარალებულს უფლებას ანიჭებდა, თუ ეს გამოძიების ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა, გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ეს ნორმა გამოირიცხავდა დაზარალებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღების შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადგილი ჰქონდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს. საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვის „გაცნობის“ მნიშვნელობა და მასში მოიაზრა მათ შორის დოკუმენტის ასლის მიღების შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით: საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული ადამიანის უფლების - გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას - მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის მართოდენ წაკითხვა ან შესაბამისი დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება. მისი დანიშნულება იმგვარი მექანიზმის შექმნაა, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს, სათანადოდ, გულდასმით შეისწავლოს ინფორმაცია, გამოიკვლიოს მისი სისწორე, გააანალიზოს, გააკეთოს დასკვნები, გაავრცელოს ან/და გამოიყენოს იგი სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით. ამდენად, ბუნებრივია, რომ ცაიტნოტურ ვითარებაში, მით უმეტეს, სხვისი თანდასწრებით წერილობითი ინფორმაციის წაკითხვა, დოკუმენტების ზეპირი გაცნობა თუ ვიზუალური დათვალიერება, თუნდაც ამონაწერების გაკეთების შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევაში არათუ ვერ უზრუნველყოფს უფლებით სრულყოფილად სარგებლობას, არამედ, პრაქტიკულად, შინაარსს უკარგავს მას და სრულიად არარეალიზებადს ხდის კონსტიტუციურ უფლებას.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული პირის უფლება, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, მათ შორის, გულისხმობს ამ ინფორმაციის ეფექტიანი გაცნობის შესაძლებლობას, რაც საჭიროების შემთხვევაში, ამგვარი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის, ასლის სახით, მიღებასაც შეიძლება მოიცავდეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან სადავო ნორმა დაზარალებულს ავალდებულებდა პროკურატურაში ან სასამართლოში გასცნობოდა, წაკითხა, ვიზუალურად დაეთვალიერებინა, ამონაწერი გაეკეთებინა სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, მაგრამ გამოირიცხავდა ასლების მიღებას, ადგილი ჰქონდა ჩარევას კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის გაცნობის უფლებაში. სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გაუცემლობა დაზარალებულის მიმართ ემსახურება გამოძიების

ინტერესების დაცვას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შეესაბამება ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, როგორიცაა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვაა დასაშვები. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა იყო ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი, მაგრამ არა აუცილებელი (ნაკლებად მზღუდავი) საშუალება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ასლების გაცემაზე ბლანკეტური აკრძალვის დაწესების ნაცვლად, ნაკლებად მზღუდავ საშუალებად ინდივიდუალიზებული მიდგომა მიიჩნია. გამომძიებელს და პროკურორს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინათ: ასლების გაცემით რამდენად ზიანდება გამოძიების ინტერესები. გამომძიებელმა და პროკურორმა შესაძლოა დროითი ფაქტორით იხელმძღვანელონ. მაგალითად, როდესაც ბრალდებულისათვის ცნობილი გახდება საქმის მასალები, რელევანტურობას კარგავს დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის გასაიდუმლოების ინტერესი. დაზარალებულისაგან ასლების დამალვის ინტერესი არ არსებობს მაშინ, როცა გამოძიების ორგანო თავად ახდენს მათ გასაჯაროებას ან ინფორმაცია საჯარო ხდება სხვა წყაროების (მასმედიის, დაცვის მხარის) მეშვეობით. ამგვარად, ამ საქმეზე დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაღებაზე უარი მიჩნეული იქნა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად და სადავო ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

საკუთრების უფლება (მუხლი 19)

29. შპს „მადანი“ და შპს „პალიასტომი 2004“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის წინააღმდეგ (N1/3/611, 2016)

ამ საქმეში სადავო იყო სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის შავ ზღვაში თევზჭერისათვის ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი საფასური. 1 ტონა ქაფშიას მოპოვებისთვის ლიცენზიის მფლობელის გასახდელის რეგულირების საფასურის ოდენობა შეადგენდა 15 ლარს. ამ თანხის გადახდა ხდებოდა არა ლიცენზიის მფლობელის მიერ ფაქტობრივად დაჭერილი თევზის მიხედვით, არამედ წინასწარ განსაზღვრული კვოტის მიხედვით. თევზჭერის ლიცენზიის მფლობელ სუბიექტს 15 ლარი უნდა გადაეხადა მაშინაც, თუნდაც ვერ დაიჭერდა 1 ტონა ქაფშიას. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ ამგვარი რეგულირების საფასურით ხდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლებაში ჩარევა. საკონსტიტუციო სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ რეგულირების საფასურის დადგენით ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლებაში ჩარევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა თავის პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, რეგულირების საფასური ატარებს გადასახადის ნიშნებს, ეს საფასური არის ბეგარა ლიცენზიის მფლობელი პირებისათვის. რეგულირების საფასურისათვის დამახასიათებელია გადასახადის ისეთი ნიშანი როგორიცაა აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათი. ამგვარად, რეგულირების საფასური, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მიეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ გადასახადებს და საკუთრების უფლების კანონით შეზღუდვის ფორმალური კრიტერიუმის პარალელურად უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს. ამ კონსტიტუციური დებულების თანახმად, მხოლოდ კანონით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა. მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასური შემოღებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 აგვისტოს №1 ბრძანებით და არა კანონით. შესაბამისად, არ არის დაცული კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, საკუთრების უფლება იზღუდება კანონით. ეს უკანასკნელი კი მიღებული უნდა იყოს პარლამენტის და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

30. შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/2/1475, 2020)

შპს „ბექანასი“, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლის საფუძველზე, წიაღით სათანადო ლიცენზიის გარეშე სარგებლობის გამო ცნობილი იყო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. კომპანიას, ადმინისტრაციული სახდელის სახით, ჯარიმასთან ერთად განესაზღვრა სამართალდარღვევის ჩასადენად გამოყენებული იარაღის – ტრაქტორის კონფისკაცია. მოსარჩელის მიერ მიყენებული ზიანი გამოიხატებოდა ხრეშის იმ ადგილას მოპოვებაში, სადაც შპს „ბექანასი“ არ ჰქონდა ლიცენზია. მოსარჩელის მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანი, ოფიციალურად, 20 თეთრად იქნა შეფასებული, მაშინ, როდესაც მოსარჩელისათვის ჩამორთმეული იარაღის – ტრაქტორის ღირებულება შეადგენდა 54 650 აშშ დოლარს.

საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის სანქცია - სამართალდარღვევის იარაღის ბლანკეტური ჩამორთმევა. საიას განმარტებით, მოსამართლე, საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას სანქციის ზომად გამოიყენოს თუ არა ტრაქტორის ან სამართალდარღვევის ჩადენის სხვა იარაღის ჩამორთმევის ღონისძიება. იმის გამო, რომ მუხლის სადავო სანქცია იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ მოსამართლეს არ უტოვებდა სახდელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას და იმ შემთხვევაშიც ავალდებულებდა მოსამართლეს სამართალდარღვევისათვის ჩამოერთმია სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, როცა მიყენებული ზიანის ოდენობა უმნიშვნელო იყო, ირღვეოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული საკუთრების უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით ხდებოდა საკუთრების უფლებაში ჩარევა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ჩარევა ემსახურებოდა ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიც იყო გარემოს დაცვა. სამართალდარღვევის საგნის ჩამორთმევა იყო გარემოს დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალება, მაგრამ ის გარემოება, რომ მოსამართლეს ყველა შემთხვევაში, როცა კი დაადგენდა იმას, რომ პირის ქმედება შეიცავდა სამართალდარღვევის ნიშნებს, ეკისრებოდა სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის კონფისკაციის ვალდებულება, არ აკმაყოფილებდა აუცილებლობის მოთხოვნებს. ის, რომ მოსამართლეს არა ჰქონდა გარემოს დაცვით სამართალდარღვევაზე სახდელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა, არღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს. მოსამართლეს რომ ჰქონოდა საქმის ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, ჩადენილი ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის მხედველობაში მიღების შემთხვევაში სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შესაძლებლობა, ამით უკეთ მოხდებოდა გარემოს დაცვის საჯარო ინტერესსა და საკუთრების უფლებას შორის გონივრული ბალანსის დამყარება. სადავო ნორმა მოსამართლეს ავალდებულებს სამართალდამრღვევისთვის ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, ჩამოართვას მას სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი - ტრაქტორი, იმის მიუხედავად, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეადგენს 20 თეთრს. საკუთრების უფლების ამ ფორმით შეზღუდვა კი ნამდვილად არ ემსახურება გარემოს დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, მოსამართლეს ტრაქტორის ჩამორთმევის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს მაშინ, როცა გარემოსთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, ამგვარი კონფისკაცია აუცილებელია.

შეკრების თავისუფლება (მუხლი 21)

31. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიჭაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/180-183, 2002)

ამ საქმეში, , საია იყო თავად წარმოდგენილი, როგორც მოსარჩელე. სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოში მოქმედებდა შეკრების ჩატარების გაფრთხილების და არა სანებართვო სისტემა. საკონსტიტუციო სასამართლომ გაფრთხილების მექანიზმთან დაკავშირებით განაცხადა: „გაფრთხილებასთან დაკავშირებულმა მონაცემებმა სახელმწიფო ორგანოებს საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ წარმოდგენა შეეძნათ ერთი მხრივ იმაზე, თუ რა განკარგულებები უნდა გაიცეს მოძრაობის მოწესრიგებისა და სხვა ღონისძიებებისათვის, რათა შეკრების მიმდინარეობა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს, მეორე მხრივ, კი შეფასდეს, თუ რა არის საჭირო მესამე პირთა, ასევე საზოგადოების ინტერესების დასაცავად და როგორ უნდა შეუთავსდეს ეს ორი გარემოება ერთმანეთს.“

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილებას, არ მიიღოს გაფრთხილება, თუმცა მსგავს შეზღუდვას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი არ ითვალისწინებს. თავად ფორმულირება „გაფრთხილების არმიღება“ გაფრთხილების ინსტიტუტს ნებართვას უთანაბრებს. გაფრთხილება ზოგადად გულისხმობს ხელისუფლების ინფორმირებას შეკრების ჩატარების თაობაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, ანუ ეს ცალმხრივი ქმედებაა, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ მოიცავს ხელისუფლებისაგან პასუხის მოლოდინის ვალდებულებას. თავისთავად, როდესაც კანონმდებელი ხელისუფლებას აძლევს გაფრთხილების არმიღების შესაძლებლობას, ვარაუდობს, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად უარს ეუბნება კონკრეტულ პირებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, ანუ ნებას არ აძლევს, ჩაატარონ შეკრება ან მანიფესტაცია. ვინაიდან გაფრთხილების არმიღების ინსტიტუტი თავისთავად კონსტიტუციის საწინააღმდეგოა, ბუნებრივია, არა აქვს მნიშვნელობა, რა საფუძვლით ხდება გაფრთხილების არმიღება. რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლებას ასეთი კონსტიტუციური უფლებამოსილება არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

საია ასევე ასაჩივრებდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტს, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი მმართველობის ორგანო უფლებამოსილია არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი წარმომადგენელი“. საიას აზრით, ასეთი შეკრება, პრევენციულად, სასამართლოს უნდა აეკრძალა. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის ეს პოზიცია და განაცხადა:

ჩამოთვლილი ქმედებები არის მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების მართლწინააღმდეგობა სასამართლომ უნდა შეაფასოს და არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელმა ერთპიროვნულად. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა არის დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე დაცვა. ამგვარად, შეკრების პრევენციული, წინასწარი აკრძალვის უფლება აქვს მხოლოდ საერთო სასამართლოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პარლამენტს დღემდე არ აღუსრულებია კონსტიტუციის ეს ჩანაწერი. შეკრებების წინასწარი აკრძალვის უფლება კვლავ მერიას ჰქონდა, ხოლო დღესდღეობით ეს ფუნქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

32. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუპავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დავით ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/482,483,487,502, 2011)

ამ საქმეში საია წარმოადგენდა საკუთარ თავს და ასევე იცავდა დაჩივანების და ჯაბა ჯიშკარიანის ინტერესებს. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ადმინისტრაციული შენობის შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრების ჩატარების ბლანკეტური აკრძალვა. ეს აკრძალვა ემსახურებოდა შესაბამისი საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ 20 მეტრიანი რადიუსის დაცვის მოთხოვნა ვრცელდებოდა მაშინაც, როცა დემონსტრანტების მიერ ოცი მეტრის რადიუსზე უფრო ნაკლებ მანძილზე შენობასთან მიახლოება არანაირად არ უშლიდა ხელს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 20 მეტრიანი რადიუსის დაცვა ხშირად შეუძლებელს ხდიდა საჯარო დაწესებულების მახლობლად შეკრების ჩატარებას. სხვადასხვა საჯარო დაწესებულება ხშირად მდებარეობს ერთმანეთის სიახლოვეს ერთი ადმინისტრაციული ორგანოს შესასვლელიდან 20 მეტრიანი რადიუსის დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ეს რადიუსი დაირღვეს იქვე მდებარე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებაში. თუ ორი ადმინისტრაციული ორგანოს შუაში ტრანსპორტის სავალი ნაწილი მდებარეობს, იქ უკვე დამატებითი აკრძალვა მოქმედებს, რომ თუკი შეკრებაზე არ მივა დემონსტრანტების საჭირო რაოდენობა, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა შეუძლებელი იქნება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, თავისი წუხილი მიაწოდოს საჯარო დაწესებულებას, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს დემონსტრანტების მიერ წამოყენებული მოთხოვნების ადრესატს.

ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა იმ სპეციფიკურ დაწესებულებების შესასვლელიდან, სადაც უსაფრთხოების დაცვის განსაკუთრებით მაღალი ზომები მოქმედებს, ბლანკეტურად დადგინდეს განსაზღვრულ მანძილზე მიახლოების აკრძალვა. ასეთ დაწესებულებებად საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია სამხედრო ნაწილი, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნები ან პენიტენციური დაწესებუ-

ლება. ამ დაწესებულებებთან მიმართებაში, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით გამართებულია ბლანკეტური რეგულაციების დაწესება. სხვაგან, სადაც მსგავსი უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები არ მოქმედებს, შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსის ბლანკეტური დაწესება საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

33. მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/5/525, 2012)

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ხსენებული N2/482,483,487,502 გადაწყვეტილების აღსასრულებლად, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში. ამის შედეგად, შეკრებებისა და მანიფესტაციების პასუხისმგებელ პირად შეიძლება ყოფილიყო საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი (აპატრიდი). ამ ახლად ჩამოყალიბებული ნორმით, უცხოელს, სხვა ქვეყნის მოქალაქეს კვლავ არ ჰქონდა შეკრებისა და მანიფესტაციების პასუხისმგებელ პირად - ორგანიზატორად და რწმუნებულად ყოფნის უფლება. მაგალითად, უცხოელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეკრების ჩატარების შესახებ 5 დღით ადრე წინასწარი გაფრთხილება შეეტანა უფლებამოსილ ორგანოში. იმისათვის, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ჩატარებინათ საპროტესტო აქცია საქართველოში, მათ უნდა ეპოვათ საქართველოს მოქალაქე ან აპატრიდი, რომელიც უცხოელების გასამართ შეკრებაზე შეიტანდა გაფრთხილებას და იმავე დროს, საკუთარ თავზე აიღებდა ორგანიზატორის მოვალეობას, რომლის დარღვევაც ხშირად მკაცრ სანქციებს იწვევს. საქართველოს მოქალაქეს და აპატრიდს შესაძლოა არ ჰქონოდათ ინტერესი იმ საკითხზე, რაზეც საქართველოში მცხოვრები უცხოელები საპროტესტო აქციის ჩატარებას გეგმავდნენ და ამიტომ არ დათანხმებოდნენ პასუხისმგებელ პირად ყოფნას.

უცხოელებს საქართველოში ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა, მათ შორის შეკრების გამოყენებით პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, თუმცა იმავედროულად, მათ შეუძლიათ შეკრება ჩატარონ ისეთ საკითხზე, რაც საქართველოს პოლიტიკასთან არ არის დაკავშირებული. ამისათვის უცხოელებს უნდა შესძლებოდათ შეკრების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირად ყოფნა და იმ დროისათვის მერიაში გაფრთხილების შეტანა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება. განმარტებული სხდომაზე სადავო ნორმა მიჩნეული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს N2/482,483,487,502 გადაწყვეტილების დამძლევადა. ამის შედეგად, საქართველოში მცხოვრებელ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მიენიჭათ შეკრების ორგანიზატორად ყოფნის უფლება.

საარჩევნო უფლება (მუხლი 24)

34. სალთმა ჟინქლაძე, ნინო კვებინაძე, ნინო ოდიშარია, დანი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალთმა სეზისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/2/588, 2016)

ამ საქმეში საია, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად იცავდა ყველა მოსარჩელის უფლებებს. სადავო იყო საარჩევნო კოდექსის ნორმები, რომლითაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერის კანდიდატის დასახელების უფლება ჰქონდათ პარტიებს ან საარჩევნო ბლოკებს. საინიციატივო ჯგუფებს ეკრძალებოდათ მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის დასახელება.

სარჩელი შეიტანეს ქალაქი თბილისის მაცხოვრებლებმა. ისინი აცხადებდნენ, რომ სადავო ნორმით მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, შეექმნათ საინიციატივო ჯგუფი და წარედგინათ მერობის კანდიდატი ქალაქ თბილისში. ვინაიდან მოსარჩელები არ იყვნენ რომელიმე პარტიის წევრები, მათ თბილისის მერობის კანდიდატად ვერც ერთი პარტია ან საარჩევნო ბლოკი ვერ დაასახელებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავდა საქართველოს მოქალაქეთა უფლებას, კენჭი იყარონ და წარადგინონ კანდიდატი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. სადავო ნორმა სწორედ ამ უფლებას ზღუდავდა იმ თვალსაზრისით, რომ მოსარჩელები, პარტიული აფილირების გარეშე ვერ განახორციელებდნენ ვერც პასიური და ვერც აქტიური საარჩევნო უფლების ისეთ კომპონენტს, როგორიც არის კანდიდატის წარდგენა. საარჩევნო უფლებაში ჩარევის გასამართლებლად პარლამენტმა დაასახელა შემდეგი ლეგიტიმური მიზნები: პარტიულ საკრებულოსა და უპარტიო მერს შორის მსოფლმხედველობრივი განსხვავების თავიდან აცილება, პარტიების გაძლიერება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლომ არც ერთი დასახელებული მიზანი არ მიიჩნია ლეგიტიმურად.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საკრებულოსა და მერს შორის მსოფლმხედველობრივი აზრთა სხვადასხვაობა მეტყველებს პოლიტიკურ სისტემაში პლურალიზმზე, რაც არათუ არ უნდა იქნეს აღმოფხვრილი, არამედ, პირიქით უნდა წახალისდეს კიდევ. ამასთან საკრებულოს წევრების არჩევა ხდება საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გაუგებარი აღმოჩნდა ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა აღმოიფხვრას აზრთა სხვადასხვაობა პარტიულ მერსა და უპარტიო საკრებულოს წევრებს შორის.

რაც შეეხება პარტიების გაძლიერებას, დემოკრატიულ საზოგადოებაში დაუშვებელია ერთი სუბიექტის გაძლიერება მოხდეს მეორის ხარჯზე. რა თქმა უნდა, კანონმდებლის დისკრეციას წარმოადგენს აირჩიოს კონკრეტული საარჩევნო მოდელი, მაგალითად, სრულად პროპორციული სისტემა, რომლითაც კანდიდატების დასახელების შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ პარტიებს, თუმცა ამ შემთხვევაში, საინიციატივო ჯგუფებს შენარჩუნებული ჰქონდათ საკრებულოს მაჟორიტარი წევრების დასახელების შესაძლებლობა და მხოლოდ უპარტიო მერის არჩევა იყო შეუძლებელი. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გაუგებარი იყო, უფრო დიდი უფლებამოსილების მქონე საკრებულოში რატომ არ ჰქონდა მოპასუხეს პარტიების გაძლიერების ინტერესი. ამგვარად, ვერც ეს მიზანი ჩაითვლება ლეგიტიმურად.

რაც შეეხება სეპარატიზმის საფრთხეს, პირველ რიგში, როგორც პარტიის, ისე საინიციატივო ჯგუფის წარდგენილ კანდიდატებს ეკრძალებათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისკენ მოწოდებით გამოსვლა. ამ მხრივ, დამოუკიდებელი კანდიდატი პარტიულისგან განსხვავებულ საფრთხეს არ ქმნის. იმავდროულად, მერები ახორციელებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ამოცანებს და არა აქვთ კვეთა ქვეყნის სუვერენიტეტთან. თუკი უპარტიო მერები ქვეყნის სუვერენიტეტს მაინც შეუქმნიან საფრთხეს, არსებობს საკრებულოს მიერ ასეთი მერის მიმართ უნდობლობის ან პრეზიდენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის დათხოვნის მექანიზმი. ამგვარად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არ არის ვარგისი საშუალება ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა საარჩევნო უფლების დარღვევა.

35. კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/3/600, 2017)

სადავო ნორმით კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საარჩევნო კოდექსის ნორმა, რომელიც საკრებულოს წევრისგან არჩევნებამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივ ცხოვრებას ითხოვდა, ხოლო კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მერობის კანდიდატისათვის წაყენებული ბინადრობის ცენზი, რომ არჩევნებამდე 2 წლის განმავლობაში ეცხოვრა საქართველოში.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დაძლია წინა თავში ხსენებული ქინქლაძის საქმის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის მერების არჩევნებზე ვრცელდებოდა კონსტიტუციის 24-ე მუხლი. ამის ნაცვლად, მერის არჩევნების საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 25-ე მუხლში მოაქცია, რომელიც იცავს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლებას. ამის მიზეზი გახდა ის, რომ კონსტიტუციაში სახელდებით არის მოხსენიებული პარლამენტის და საკრებულოს პირდაპირი არჩევნები, ხოლო მერის პირდაპირ არჩევნებზე კონსტიტუცია არაფერს ამბობს. ეს ინსტიტუტი პარლამენტის კეთილი ნებით არის შექმნილი და კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ პირდაპირ არჩევნებზე დაწესებული შეზღუდვები მოწმდება არა საარჩევნო უფლების დამდგენი ნორმით, არამედ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების დამდგენი კონსტიტუციური დებულებით.

ის, რომ საკრებულოს და მერის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა კანდიდატი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობდა საქართველოში, მიჩნეული იქნა საარჩევნო და საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შემზღუდველ ნორმად. ამ შეზღუდვის გასამართლებლად პარლამენტის წარმომადგენელმა დაასახელა შემდეგი ლეგიტიმური მიზანი: საკრებულოს წევრთან მიმართებაში დასახელდა ის, რომ ამით ხდებოდა ამომრჩევლების უზრუნველყოფა უკეთესი კანდიდატით. ანუ, პარლამენტის აზრით, ის, ვინც არჩევნებამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა უფრო უკეთესი იყო, იმასთან შედარებით ვინც ამ ცენზს ვერ აკმაყოფილებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ეს მიზანი იყო ლეგიტიმური. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, საარჩევნო უფლებაზე ჩარევის ლეგიტიმური მიზანია არა კანდიდატის შესაბამისობის უზრუნველყოფა დასაკავებელ თანამდებობასთან, ან საუკეთესო კანდიდატის შერჩევა, არამედ ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევიდან მომდინარე საფრთხეების პრევენცია. მაგალითად, პასიური საარჩევნო უფლებით სა-

რგებლობა შესაძლოა აეკრძალოს პირს ან პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მიზანია კონსტიტუციური წესწყობილების დამხობა, ასევე ისეთი საფრთხეების პრევენცია, რაც კონსტიტუციით პირდაპირ შეიძლება არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ვინაიდან პარლამენტს არ დაუსახელებია, რა საფრთხის თავიდან აცილებას ისახავდა კანონმდებელი საკრებულოს წევრობის კანდიდატისათვის დაწესებული ბინადრობის ცენზი, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შეზღუდვა არ ემსახურებოდა რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და დაადგინა კონსტიტუციის 24-ე მუხლის დარღვევა.

რაც შეეხება მერობის კანდიდატისათვის დადგენილი ორწლიანი ბინადრობის ცენზს, ამასთან დაკავშირებით დასახელდა შემდეგი ლეგიტიმური მიზნები: პირის საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში ჩართულობა; ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებების ცოდნა. ეს ორი ლეგიტიმური მიზანი საკონსტიტუციო სასამართლომ ღირებულად მიიჩნია, თუმცა მათ მისაღწევად ბინადრობის ორწლიანი ცენზის დაწესება გამოუსადეგარ საშუალებად. ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ჩართულია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. შესაძლოა მოქალაქე ქვეყნიდან არ გადიოდეს, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდეს პოლიტიკური მოვლენების შესახებ და პირიქით, საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდეს სხვა ქვეყანაში და ინტერნეტის მეშვეობით დეტალურად იყოს ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. რაც შეეხება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სპეციფიკის ცოდნას, ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა იმაზე, რომ სადავო ნორმა ითხოვდა ზოგადად საქართველოში ორი წლის განმავლობაში ცხოვრებას და არა იმ მუნიციპალიტეტში ცხოვრებას, რომლის მერობაც სურდა კონკრეტულ პირს. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს ვერ ეცოდინება მუნიციპალიტეტის სპეციფიკა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პირს, რომელიც ცხოვრობს თბილისში და მაგალითად, სურს მაღალმთიანი რეგიონის მერობა. ასეთ ადამიანს ექნება მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის მერად კენჭისყრის შესაძლებლობა, თუმცა ვერ ეცოდინება ამ მუნიციპალიტეტის სპეციფიკა, რადგან არ ცხოვრობს იქ. ამგვარად, ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა როგორც კონსტიტუციის 24, ისე 25 მუხლების დარღვევა.

საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება (მუხლი 25)

36. გიგა ბარათაშვილი და კარინა შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ (N1/4/614,616, 2016)

ამ საქმეში, სადაც საია იცავდა ორივე მოსარჩელის ინტერესებს, გასაჩივრებული იყო თავდაცვის მინისტრის ბრძანება, რომლითაც ხდებოდა სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილება (თანამდებობიდან გადაყენება), მისი 4 თვით კადრების განყოფილებაში გადაყვანა. თუკი 4 თვის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურე არ დაინიშნებოდა ახალ თანამდებობაზე ხდებოდა მისი გათავისუფლება. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ეს ნორმა არღვევდა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც იცავს პირს საჯარო სამსახურიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისგან.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილება მოიცავდა კონკრეტულ თანამდებობიდან მის გათავისუფლებას. ამ დროს მოქალაქე არ ტოვებდა სამხედრო სამსახურს, არამედ ოთხი თვის განმავლობაში თავდაცვის სამინისტრო ეძებდა ამ პირისათვის იგივე კვალიფიკაციისა და რანგის სხვა თანამდებობას. თუ ასეთი თანამდებობა არ მოიძებნებოდა, ხდებოდა პირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნა. კადრების განყოფილებაში ყოფნის ორი თვის განმავლობაში სამსახურებრივი გადაადგილების ქვეშ მყოფი პირი იღებდა ანაზღაურებას.

სამსახურებრივი გადაადგილება გამოიყენებოდა სამ შემთხვევაში: სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციისა ან ლიკვიდაციისას, ატესტაციის საფუძველზე და დისციპლინური გადაცდომისას. საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის კონსტიტუციურობის პრობლემა დაინახა იმაში, როცა პირი ატესტაციის შედეგად მიიღებდა მაღალ შეფასებას, მაინც ხდებოდა ასეთი პირის კადრების განკარგულებაში გადაყვანა. საკონსტიტუციო სასამართლო განაცხადა, რომ ატესტაციის კარგი შედეგის მქონე სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა ხდება იმ სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, სადაც ეს პირი მუშაობს. ასეთ შემთხვევაში სამსახურებრივი გადაადგილება ემსახურება იმას, რომ ამ მოქალაქისათვის თანამდებობა იქნეს მოძიებული თავდაცვის სამინისტროს სხვა სტრუქტურაში. ამის მიუხედავად, გაურკვეველია, რატომ შეიძლება მოხდეს წარმატებული ატესტაციის შედეგის მქონე სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილება მაშინ, როცა სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ ხდება. ასეთ შემთხვევაში ხდება ჩარევა მოქალაქის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებისგან დაცვის უფლებაში.

მოპასუხე მხარე უარყოფდა უფლებაში ჩარევას და შესაბამისად, მას ლეგიტიმური მიზანი არ დაუსახელებია. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდა განსაზღვრული სამსახურებრივი გადაადგილების საფუძვლები. სამსახურებრივი გადაადგილება იყო მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილება, რაც არანაირი კრიტერიუმით არ იყო შეზღუდული. შესაბამისად, არსებობდა მინისტრის მხრიდან ამ უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების მაღალი საფრთხე. შესაძლოა სამსახურებრივი გადაადგილება, პირის კადრების განკარგულებაში გადაყვანა სწორედ იმიტომ მომხდარიყო, რომ 4 თვის გასვლის შემდეგ მოქალაქე გაეთავისუფლებინათ შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სამსახურებრივი გადაადგილების საფუძვლების განუჭვრეტელობის და, იმავდროულად, ამ შემზღუდველი ღონისძიების გამამართლებელი ლეგიტიმური მიზნის არარსებობის გამო საკონსტიტუციო

სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

37. თეზა ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/5/626, 2017)

ეს საქმე ეხებოდა მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთების გარეშე თანამდებობიდან გათავისუფლებას. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გაიმიჯნა პოლიტიკური და პროფესიული თანამდებობის პირები.

პოლიტიკური თანამდებობის პირია ის, რომელიც მთლიანად პოლიტიკური პროცესის შედეგად შეირჩევა, მაგალითად, მთავრობის წევრები შეირჩევიან პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე; მაშინ, როცა პროფესიული თანამდებობის პირები შეირჩევიან კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. თანამდებობის პოლიტიკურად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია უფლებამოსილების ხასიათის ანალიზი. მაგალითად, პარლამენტი განსაზღვრავს საგარეო და საშინაო პოლიტიკას და მთავრობა ახორციელებს მას. ორივე პოლიტიკურ ორგანოს განეკუთვნება. ამასთან პოლიტიკური თანამდებობის დაკავება, ზოგჯერ მთლიანად მინდობილია საარჩევნო პროცესს, ხალხის ნების გამოხატვას საარჩევნო უბანზე, რაც არ საბუთდება (საკრებულოს და პარლამენტის წევრის არჩევა). პოლიტიკური და პროფესიული თანამდებობის პირები ასევე იმიჯნებიან პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც. პოლიტიკური თანამდებობის პირი, ზოგჯერ ამა თუ იმ სფეროში განხორციელებული თუ განუხორციელებელი ქმედებისათვის პასუხს აგებს პოლიტიკურად, საკუთარი ამომრჩევლის წინაშე. პოლიტიკური მიზანშეწონილობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება პოლიტიკურ და არა სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

პოლიტიკური თანამდებობის პირისაგან განსხვავებით, პროფესიული თანამდებობის პირი თანამდებობაზე ხვდება მისი პროფესიული ცოდნის გამო. თუკი პროფესიული თანამდებობის პირს არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, ის სახელმწიფო ორგანო, სადაც ის მუშაობს, ვერ შეასრულებს თავის უფლებამოსილებას ჯეროვნად. პროფესიული თანამდებობის პირი არ განსაზღვრავს პოლიტიკას, არამედ უკვე განსაზღვრულ პოლიტიკას ახორციელებს. კანონი მკაცრად განსაზღვრავს პროფესიული თანამდებობის პირის მოქმედების სფეროს, არა მხოლოდ პროცედურული, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ გარემოების გათვალისწინებით, პროფესიული თანამდებობის პირი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. პროფესიული თანამდებობის პირსაც შეიძლება გააჩნდეს დისკრეცია, თუმცა ამ დისკრეციის ფარგლები არა პოლიტიკური მიზანშეწონილობით, არამედ კანონით არის განსაზღვრული. პროფესიული თანამდებობის პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ანალიზის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი მერია, რომელიც არის ანგარიშვალდებული თავისი ამომრჩევლის წინაშე. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს იმ საჯარო თანამდებობის პირს, რომელიც საკუთარი, კანონით ვიწროდ გაწერილი უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ფარგლებში ეხმარება და შესაძლებელს ხდის მერიის ამოცანათა პრაქტიკულ რეალიზაციას. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე სამსახურებრივ ზედამხედველობას

ახორციელებს მერი. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ განსაზღვრავს თავად ამ ერთეულის საქმიანობის პოლიტიკურ მიმართულებას, ამას მერი აკეთებს.

მართალია, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მერის დაქვემდებარებაშია, თუმცა მას მაინც გააჩნია ავტონომიური ბუნება: სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქცია არ არის მერის ფუნქციების განხორციელებაში ფორმალური დახმარება, არამედ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თვითმყოფადი ბუნება გააჩნია - ის ხელმძღვანელობს და წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არსი არ გულისხმობს პოლიტიკური გუნდის წევრობას ან მერის პოლიტიკური შეხედულებების მიმართ ერთგულებას, არამედ განსახილველი თანამდებობის პირი მერიის სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პროფესიული და არა პოლიტიკური თანამდებობის პირია.

სადავო ნორმით, როცა ხალხი თანამდებობაზე აირჩევს ახალ მერს, უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ეს გარემოება საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით საჯარო სამსახურში უფლებამოსილების დაუბრკოლებლად განხორციელების უფლებაში ჩარევად მიიჩნია. მოპასუხემ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირება და ყოველი არჩევნების შემდეგ, მუნიციპალური თანამდებობის პირების ჩანაცვლების შესაძლებლობის არსებობა.

ვინაიდან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პროფესიული თანამდებობის პირია, მას მოეთხოვება კვალიფიკაცია და გამოცდილება. სადავო ნორმა ახალი არჩევნების შემდეგ ავტომატურად ითვალისწინებს მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტას. თუნდაც ახლად არჩეულ მერს არ ჰქონდეს ამის სურვილი. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტა, ისე რომ არ მოწმდება ამ პროფესიული თანამდებობის პირის კვალიფიკაცია და უნარები, ვერ იქნება ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაღები საშუალება, როგორიც თვითმმართველობის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფაა.

ამავე საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა რაიმე ლეგიტიმური მიზანი, რაც გაამართლებდა მერის მიერ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სათანადო დასაბუთების გარეშე, გათავისუფლებას. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების დარღვევა.

38. ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/9/1673,1681, 2022)

ამ საქმეში საია იცავდა ლონდა თოლორაიას ინტერესებს. ეს საქმე ეხებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას და სახელმწიფო ინსპექტორისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას. ამ საქმეში გვხვდება თანამდებობის პირების ისეთი კლასიფიკაცია, რაც განსხვავდება ოლე ლაცაბიძის ზემოთ ხსენებულ

საქმისაგან. პოლიტიკურ და წმინდა პროფესიულ თანამდებობასთან ერთად, ღონდა თოლორაიას საქმეში ჩნდება შერეული მახასიათებლის თანამდებობა. საკონსტიტუციო სასამართლო პროფესიული თანამდებობის მახასიათებლად აღგენს იმას, რომ ამ პირებს გააჩნიათ შრომითი უფლებების დაცვის ინტერესი, კერძოდ ის, რომ უზრუნველყოფილნი იყვნენ შრომის სათანადო პირობებით, მიიღონ თანამდებობრივი სარგო, დაცული იყვნენ უფლებამოსილების დაუსაბუთებელი შეწყვეტისაგან. რაც შეეხება მესამე კატეგორიას, შერეული ხასიათის თანამდებობის პირებს, აქ, მნიშვნელოვანი არა მხოლოდ შრომითი უფლებების დაცვაა, არამედ ასეთი პირების ხელმეუხეშელობის გარანტიების უზრუნველყოფაა პოლიტიკური ხელისუფლებისაგან. შერეული მახასიათებლის თანამდებობის პირებს შესაძლოა მოუწიოთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს პოლიტიკური ხელისუფლების ინტერესებს. ამიტომ ასეთი შერეული მახასიათებლის თანამდებობის პირები დაცული უნდა იყვნენ პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან საპასუხო ზემოქმედებისგან.

შერეული მახასიათებლის თანამდებობის პირებს სოციალური უზრუნველყოფის გარანტიებთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის და ხელმეუხეშელობის გარანტიებიც. შერეული მახასიათებლის თანამდებობის პირებს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილების გარანტირებული ვადა, რაც მოემსახურება იმას, რომ ასეთი პირები დაცულნი იქნებიან ვადაზე ადრე თანამდებობიდან ჩამოშორების შესაძლებლობისგან და ამით უზრუნველყოფილი იქნება მათი დამოუკიდებლობა. სწორედ დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ინიშნება სახალხო დამცველი გარანტირებული ვადით. როდესაც ასეთ დამოუკიდებელი (შერეული მახასიათებლის) ორგანოს თანამდებობის პირს ვადაზე ადრე უწყდება უფლებამოსილება, ადგილი აქვს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ის მკაცრად შეამოწმებს იმ შემთხვევებს, როცა ხდება ამგვარი ჩარევა ისეთი შერეული მახასიათებლის მქონე დამოუკიდებელი ორგანოების საქმიანობაში, რაც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული (სახალხო დამცველი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ა.შ). ვინაიდან სახელმწიფო ინსპექტორი, მართალია, ისეთივე დამოუკიდებელი ორგანოა, როგორც სახალხო დამცველი, თუმცა მისი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის მიმართ შედარებით შერბილებული დამოკიდებულება ექნება საკონსტიტუციო სასამართლოს. ამის მიზეზია ის, რომ სახელმწიფო ინსპექტორი არ იყო კონსტიტუციით გათვალისწინებული თანამდებობა.

სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა ის, რომ მას ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი მის მიერ განსახორციელებელ ორ ფუნქციასთან მიმართებაში: გამოეძიებინა თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რა დროსაც აუცილებელი იყო პერსონალური მონაცემების დამუშავება და უზრუნველყო პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. ეს ორი ფუნქცია გადაეცა ორ ცალკე შექმნილ ორგანოს - სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. ამის გამო ვადაზე ადრე უფლებამოსილება შეუწყდა სახელმწიფო ინსპექტორს. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა იყო ღირებული ლეგიტიმური მიზანი. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და ამის შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობიდან გადაყენება იყო ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის ლეგიტიმური

მიზნის მისაღწევად ვარგისი, მაგრამ არა ნაკლებად მზღუდავი საშუალება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნაკლებად მზღუდავი საშუალება იქნებოდა, ის, რომ მომხდარიყო ახლად შექმნილი რომელიმე სამსახურის უფროსის კვალიფიკაციასთან ლონდა თოლორაიას კვალიფიკაციის შემოწმება და ამის შემდეგ მისი დანიშვნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. თუ ამ შეთავაზებაზე ლონდა თოლორაია უარს იტყოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს უნდა მიეცა მისთვის ადეკვატური ფულადი კომპენსაცია. სოციალური გარანტია არის ის, რომლის მიღების ინტერესიც გააჩნიათ შერეული მახასიათებლის მქონე თანამდებობის პირებს. ამით საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, შემცირდებოდა უფლებაში ჩარევის ინტენსივობა. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების დარღვევა.

შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება (მუხლი 26)

**39. პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჭაია
საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ
(№1/1/1505,1515,1516,1529, 2021)**

* ამ საქმეში საია წარმოადგენდა მხოლოდ პაატა დიასამიძეს.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³ მუხლის პირველი პუნქტით საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლება, პანდემიის პირობებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, არსებული კანონმდებლობისაგან განსხვავებულად მოაწესრიგოს, მათ შორის, პირთა შრომასთან და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს შრომითი უფლებების ორგანული კანონის საფუძველზე მოწესრიგების ვალდებულებას და, ამიტომ, სწორედ ამავე გზით უნდა მოხდეს საქართველოს პარლამენტის მიერ ამ უფლების შეზღუდვის დელეგირება სხვა ორგანოზე. ამის საპირისპიროდ, მოცემულ შემთხვევაში, როგორც მოსარჩელე განმარტავდა, საქართველოს მთავრობას, ნაცვლად ორგანული კანონისა, ჩვეულებრივი კანონის საფუძველზე გადაეცა შრომით უფლებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რაც არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმალურ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საიას პოზიცია და აღნიშნა, რომ სადავო ნორმით, საქართველოს მთავრობას მინიჭებული აქვს, მათ შორის, იმ საკითხთა რეგულირების უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებულია პირთა შრომასთან და მის პროფესიულ საქმიანობასთან. თავის მხრივ, დასახელებულ საკითხთა მოწესრიგების დელეგირება ერთმნიშვნელოვნად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს. საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ განმარტა, რომ ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების კანონით მოწესრიგება გაუმართლებელია, თუნდაც კონკრეტული საკითხის კანონით მოწესრიგების შესაძლებლობაზე თავად ორგანული კანონი მიუთითებდეს, რამდენადაც ასეთ პირობებში ხდება ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების შედარებით დაბალი ლეგიტიმაციის აქტით მოწესრიგების უფლებამოსილების საკუთარ თავზე დელეგირება. მოცემულ შემთხვევაში კი ჩვეულებრივი კანონი მთავრობას ანიჭებდა უფლებამოსილებას, დაეწესებინა რეგულაციები, რაც ორგანული კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ პარლამენტის მიერ მაღალი კვორუმით მიღებული წესების შეცვლა ხდებოდა დაბალი კვორუმით მიღებული კანონის საფუძველზე მთავრობის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტით. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება (მუხლი 27)

40. თბანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამოტციანი, მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/540, 2014)

ამ საქმეში, სადაც საია იცავდა ყველა უცხოელი მოსარჩელე ბავშვის უფლებებს, სადავოდ იყო გამხდარი „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ის ნორმა, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ავალდებულებდა საქართველოს საჯარო სკოლაში განათლების მისაღებად გადაეხადა სწავლის საფასური. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტზე სადაც აღნიშნულია, ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ პროფესიული და უმაღლესი განათლებისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია ზოგადი განათლების უფლებას არ ავიწროებდა, ამასთან 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ აკონკრეტებს იმ სუბიექტს, ვის ზოგად განათლებასაც სახელმწიფო აფინანსებს. კონსტიტუციის სხვა მუხლებში ხშირად გვხვდება პირდაპირი მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ესა თუ ის უფლება მოქალაქეს ეკუთვნის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ამბობს იმას, რომ სახელმწიფო განათლებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს უფინანსებს. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განათლების დაფინანსების უფლება ჰქონდა უცხოელსაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან ზოგადი განათლების არა ნაწილობრივ არამედ სრულ დაფინანსებას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განათლების დაფინანსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც განათლების სუბიექტისთვის, ისე თავად სახელმწიფოსთვის. განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში, იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამავე დროს - განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი არსებობის საშუალებას. იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებს ზოგადი განათლების სრულად დაფინანსებას, ეს უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლოა შეიზღუდოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. პარლამენტმა ლეგიტიმურ მიზნად საბიუჯეტო რესურსების დაზოგა დაასახელა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, დაწყებითი განათლების მიღების დროს პირი სწავლობს ელემენტარულ არითმეტიკას, წერა-კითხვას და სხვა ისეთ უნარებს, რომლებიც ფასდაუდებელია მისი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში. იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად საშუალო განათლებაზეც. პირისთვის ასეთი უფლების შეზღუდვას მნიშვნელოვანი რისკები მოჰყვება. განათლების უფლების შეზღუდვა ინდივიდს ხელს უშლის სოციალურ, ეკონომიკურ, ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ სფეროში განვითარებას. წერის და კითხვის არცოდნა შეუფასებელ ზიანს აყენებს ინდივიდს ყოველდღიურ ცხოვრებაში. განათლების მიღების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში ხდება მოზარდის დისკრედიტაცია და უსწავლელობის სტიგმა გაჰყვება მას მთელი

ცხოვრების განმავლობაში. სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკით ჩნდება რისკი, რომ წარმოიქმნას ე.წ. “ჩრდილქვეშ მყოფი საზოგადოება”, რომელიც მუდმივად იცხოვრებს ქვეყნის ტერიტორიაზე.

თუ უცხოელები საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებენ, ზოგადი განათლების შეზღუდვამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს სახელმწიფოსთვის, რომელიც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, მეორე მხრივ, კი კრიმინოგენურ მდგომარეობაზე. განათლების უფლების შეზღუდვის გზით რესურსის დაზოგვა ხშირად არათანაზომიერია იმ მოსალოდნელი ხარჯების გამო, რომლის გაღებაც სახელმწიფოს მოუწევს აღნიშნული პირების გამო მომავალში. ამასთან მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 2013 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვაუჩერის გაცემის მოთხოვნით 467-მა უცხო ქვეყნის მოქალაქემ მიმართა და მის მისაღებად შესაბამისი თანხა გადაიხადა. აღნიშნული თანხა შეადგენს 117.495 ლარსა და 75 თეთრს. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული თანხა მძიმე ტვირთად არ შეიძლება დააწვეს სახელმწიფო ბიუჯეტს, განსაკუთრებით კი, იმ პირობებში, როდესაც საკითხი საზოგადოების განათლების განვითარებას ეხება.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საბიუჯეტო რესურსის დაზოგვის ინტერესი ვერ გადაჭონიდა იმ სიკეთეს, რაც სახელმწიფოს მიერ უცხოელის ზოგადი განათლების სრულად დაფინანსებიდან წარმოიშობოდა. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დარღვევა.

ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები (მუხლი 30)

41. სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/425, 2008)

ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან ქორწინების შემთხვევაში სავალდებულოდ მიიჩნევდა სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებართვას.

სალომე წერეთელი-სტივენსმა საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ 2006 წლის 18 აგვისტოს გაცემული ნებართვის ასლი საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე მეთიუ რაიენ სტივენსის ქორწინების რეგისტრაციაზე. ამ ნებართვის ასაღებად გადახდილი იქნა 120 ლარი. 2006 წლის 9 სექტემბერს, ნებართვის აღების შემდეგ, დარეგისტრირდა სალომე წერეთელი-სტივენსის და მეთიუ რაიენ სტივენსის ქორწინება. ქორწინების რეგისტრაციისათვის ამგვარი თანხმობის წარდგენა არ იყო სავალდებულო, თუ დაქორწინების მსურველი ყველა პირი საქართველოს მოქალაქე იყო. მოსარჩელე დავობდა იმაზე, რომ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 30 მუხლით აღიარებულ უფლებას, რომლის მიხედვითაც, ქორწინება ემყარება ნებაყოფლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო ძალიან ვრცელია და მოიცავს როგორც დაქორწინებას, ასევე, საოჯახო თანაცხოვრებასა და განქორწინებას. ქორწინების თავისუფლება მოიცავს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ასპექტს. 30-ე მუხლით დაცული ქორწინების ნეგატიური თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ ადამიანი თავისუფლებად დაქორწინდეს მის მიერ შერჩეულ პარტნიორზე. ნეგატიური თავისუფლება იცავს ადამიანს იძულებისაგან, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი, როცა ეს მას არ სურს. რაც შეეხება ქორწინების პოზიტიურ თავისუფლებას, ეს უკანასკნელი უკრძალავს სახელმწიფოს, შექმნას არაპროპორციული და დემოკრატიულ საზოგადოებაში მიუღებელი დაბრკოლებები ქორწინების მსურველი ადამიანებისათვის. ამით, საკონსტიტუციო სასამართლომ უპასუხა პარლამენტის წარმომადგენლების არგუმენტს, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციის 30-ე მუხლში ჩაწერილი ქორწინების ნებაყოფლობითობას მხოლოდ ნეგატიური ასპექტი გააჩნდა და იცავდა ადამიანს იძულებითი ქორწინებისგან.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსარჩელე და მისი უცხოელი ქმარი ვერ დაქორწინდებოდნენ, მათ სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებართვა რომ არ წარუდგინათ. თუკი ნებართვის დოკუმენტი არ იარსებებდა სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიული სამსახური უარს იტყოდა საქართველოს მოქალაქის და უცხოელის ქორწინების რეგისტრაციაზე. ამგვარი ნებართვის შემოღება ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, დაქორწინდეს. ეს შეზღუდვა კი კონსტიტუციურ გამართლებას მოითხოვს. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა

კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ქორწინების თავისუფლება თანაბრად ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, მოქალაქეობის არმქონე პირზე და უცხოელზე. უცხოელთა ქორწინების უფლების შეზღუდვა ისეთივე სიმკაცრით მოწმდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, როგორც საქართველოს მოქალაქეთა ამავე უფლების შეზღუდვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ გაარკვია, რა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურებოდა სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანხმობა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა პარლამენტის პოზიცია, რომ ეს თანხმობა ემსახურებოდა საქართველოს მოქალაქის უცხოელი მეუღლისათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებულ მინიჭებას, ასევე ამგვარ ქორწინებაში დაბადებული ბავშვებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ქორწინება და მოქალაქეობის მინიჭება ორი სხვადასხვა პროცედურაა. ქორწინების რეგისტრაციაზე ნებართვის გაცემისას სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ იკვლევდა ისეთ გარემოებებს, რაც მომავალში უცხოელისათვის მოქალაქეობის მინიჭებას დაედებოდა საფუძვლად. ღირებული ლეგიტიმური მიზნების არ არსებობის პირობებში ქორწინების თავისუფლება ჩაითვალა თვითმიზნურად და შესაბამისად, კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად.

42. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)

ამ საქმეში გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ქმედუნარო პირს უკრძალავდა ქორწინების უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას განაცხადა: „კონსტიტუცია აღიარებს პირის თავისუფლებას, ნებაყოფლობით დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე... ქორწინება წარმოადგენს ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ კავშირს, რომლის მიზანია, წარმოშვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი, სოციალური და პიროვნული შედეგები.“

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, საქართველოს კანონმდებლობა ქორწინებას უკავშირებს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონით დადგენილი წესით, ქორწინების შედეგად წარმოიშობა გარკვეული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა თანასაკუთრებას, ურთიერთრჩენის ვალდებულებებსა და მემკვიდრეობით-სამართლებრივ გარანტიებს. ქორწინებას შესაძლებელია ასევე უკავშირდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები (მაგალითად, მეუღლეები დაცული იყვნენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან, საგადასახადო შეღავათები და სხვა).

საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ კანონმდებლობა არ კრძალავდა ქმედუნარო პირის სხვა ადამიანთან თანაცხოვრებას. სადავო ნორმა მხოლოდ ამგვარი თანაცხოვრების ინსტიტუციონალიზაციას კრძალავს. სახელმწიფო არ აღიარებს ქმედუნარო პირისა და მისი პარტნიორის ფაქტობრივ თანაცხოვრებას, როგორც პირთა ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც მიმართულია ოჯა-

ხის შესაქმნელად. სახელმწიფოს მიერ არ ხდება პირის კავშირის სამართლებრივი და საზოგადოებრივი აღიარება. ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს ერთმევა შესაძლებლობა, შექმნას ოჯახი და შესძინოს მის პირად ურთიერთობებს სამართლებრივი და სოციალური სტატუსი. ამით კი იზღუდება კონსტიტუციის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების უფლება.

შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა ქმედუუნარო პირის არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა და მისი ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფა. ეს ლეგიტიმური მიზნები საკონსტიტუციო სასამართლომ ღირებულად მიიჩნია: ქმედუუნარო პირს შესაძლოა არ ჰქონდეს ქორწინების მნიშვნელობის გაცნობიერების და რაც მთავარია დაქორწინებაზე ნების გამოვლენის უნარი. ამის გამო იქმნება იძულებითი ქორწინების საფრთხე. ასევე ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდვის გამო ქმედუუნარო პირი შესაძლოა მეორე მეუღლისგან აღმოჩნდეს მოტყუებით, ქონებრივი ზიანის მიყენების მსხვერპლი. ამ რისკების თავიდან ასაცილებლად ქმედუუნარო პირს ეკრძალება ქორწინების რეგისტრაცია.

ამის მიუხედავად, შეზღუდვა არ აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნებს. ქმედუუნაროდ ცნობისას ექსპერტები და სასამართლო ადგენს იმას, რომ აქვს თუ არა პირს დაკარგული უნარი, შეიგნოს მისი მოქმედებების მნიშვნელობა. ქმედუუნარიანობის ჩამორთმევისას არ დგინდება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს რამდენად აქვს ქორწინების და ოჯახის შექმნის მნიშვნელობის გაცნობიერების შესაძლებლობა. ინდივიდუალიზებული მიდგომის არსებობისას, პირს, რომელსაც არა აქვს ქორწინების შედეგების გაცნობიერების შესაძლებლობა, ჩამოერთმევა ეს უფლება. ხოლო იმ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს, რომელიც აცნობიერებს ქორწინების და ოჯახის მნიშვნელობას, მიეცემოდა ქორწინების უფლება და არ იარსებებდა არანებაყოფლობითი ქორწინების რისკი. ამასთან ქორწინებამდე, დასაქორწინებელი წყვილი მომავალი ქონებრივი ურთიერთობების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მეურვემ. ეს გამორიცხავს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის მოტყუებით ქონებრივი ზიანის მიყენების საფრთხეს. მეურვის თანხმობა არ უნდა ეხებოდეს ქორწინების პირადი არაქონებრივი უფლების ასპექტებს. დაქორწინების მსურველ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს უნდა ჰქონდეს ქორწინების პირადი არაქონებრივი უფლებების გაცნობიერების შესაძლებლობა, სანამ მას ქორწინების უფლება მიეცემა სასამართლოს გადაწყვეტილებით. ვინაიდან ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობდა ამგვარი ინდივიდუალიზებული მიდგომა, დადგინდა კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

საპროცესო უფლებები (მუხლი 31)

43. საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშარიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/3/182,185,191, 2003)

ამ საქმეში გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” და “დ” ქვეპუნქტები, რომლითაც ეჭვმიტანილის დამცველთან შეხვედრის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ საათს. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, დამცველთან პირისპირ შეხვედრა მიზნად ისახავს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღებას. კვალიფიციური იურიდიული დახმარების მისაღებად, ეჭვმიტანილის დამცველთან პირისპირ შეხვედრის ხანგრძლივობა ყველა შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვედეს მის მიერ არჩეულ ადვოკატს.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, დამცველთან პირისპირ შეხვედრის, კანონმდებლის მიერ დადგენილი ერთსაათიანი შეზღუდვა შეუსაბამობაშია საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებებთან, ვინაიდან იგი უნდა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, დაკავების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 72 საათს. ამ ვადით არიან სამართალდამცავები ეჭვმიტანილთან ურთიერთობაში შეზღუდული. ამის გამო დამცველთან პირისპირ შეხვედრების დრო კი არ უნდა იყოს შეზღუდული, არამედ იგი უნდა შეიზღუდოს გონივრული ვადით, სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით. ამ არგუმენტზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ადვოკატის დაკავებულთა შეხვედრის ერთ საათიანი ვადა.

44. ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/393,397, 2006)

ამ საქმეში, სადაც საია იცავდა მხოლოდ ვახტანგ მასურაშვილის ინტერესებს, გასაჩივრებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლის მიხედვითაც, “თუ სასამართლოს მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია გამოიტანოს განკარგულება პირის 30 დღე-ღამემდე ვადით დაპატიმრების შესახებ.” განკარგულება მიიღება ადგილზე თათბირით, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება – ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება”.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღო ისიც, რომ იზღუდებოდა არა მარტო კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, არამედ ასევე დაცვის უფლებაც. იმის გამო, რომ თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე და ადგილზე თათბირით, პირს არა აქვს ადვოკატის მოწვევის და მისი მეშვეობით თავის დაცვის შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუ-

ციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება, რომ ადვოკატის მოწვევის უფლება, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით წარმოიშობოდა დაკავებისას ან დაპატიმრებისას. მოპასუხის აზრით, დაპატიმრების თაობაზე სასამართლოს მიერ განკარგულების გამოტანამდე ადამიანი იყო თავისუფალი და ადვოკატზე უფლება არ წარმოიშობოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტირებული დაცვის უფლება არ შე-მოიფარგლება კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით დაცული გარანტიით, რომ-ლითაც ადვოკატზე უფლება წარმოიშობა პირის დაკავებისას ან დაპატიმრებისას. კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, ადამიანს ადვოკატის დახმარებით შეუძლია ისარგებლოს მაშინაც, როცა თავისუფლება ჯერ არა აქვს აღკვეთილი. 30 დღემდე განკარგულების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა რომც არსებობდეს, ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ სანამ ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლე სასამართლოს უპატივცემულობისათვის 30 დღემდე პატიმრობას გამო-იყენებს, მანამდე მიეცეს პირს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, რათა მისი მეშვე-ობით დაიცვას თავი.

სადავო ნორმა ასევე ითვალისწინებდა ადგილზე თათბირით 30 დღემდე პატიმრო-ბის გამოყენების შესაძლებლობას. ადგილზე თათბირისას შესაძლოა სასამართლო დარბაზში იმყოფებოდეს პატიმრობას დაქვემდებარებული პირის ადვოკატი. თუმცა ადგილზე თათბირისას პატიმრობის გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმა არ ითვალისწინებს სხდომის გადადების შესაძლებლობას, რათა ადვოკატი და მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოემზადონ თავის დასაცავად. დაცვის უფლება არ გულისხმობს მხოლოდ ადვოკატის ყოლის შესაძლებლობას, არამედ ადვოკატს უნდა ჰქონდეს სა-თანადო დრო დაცვის მოსამზადებლად. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული დაცვის უფლე-ბის დარღვევა.

ამას გარდა საკონსტიტუციო სასამართლომ 30 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრო-ბის გამოყენებამდე აუცილებლად მიიჩნია ზეპირი სხდომის ჩატარება, რაც კონსტი-ტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეობს. ზეპირი მოსმენის გარეშე თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ზღუდავს პირის შესაძლებლობას, დაესწროს პროცესს და გამოთქვას მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით, რაც სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია 30 დღემდე პატიმრობის განკარგულების ზემ-დგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების აუცილებლობა.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს უპატივ-ცემულობისათვის პატიმრობის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი გარანტი-ები: 1. საქმის განხილვის შეჩერება და მცირე დროის გამოყოფა, რათა პირი დაუფიქ-რდეს თავის ქცევას და გააანალიზოს იგი; 2. მოსამართლის ვალდებულება, დეტალუ-რად ამცნოს პირს სამართალდარღვევის შინაარსისა და მისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე; 3. პირის შესაძლებლობა, წარმოადგინოს განმა-რტებები მისი ქმედების შესახებ ან/და ბოდიში მოიხადოს; 4. იურიდიული წარმომადგენლობის საკითხის გადაწყვეტა. ამ საქმეში დადგინდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტების დარღვევა.

45. ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/558, 2014)

ამ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლის მიხედვითაც, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. აღნიშნული განკარგულების მიღება ხდებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: პირის შესაძლებლობა, მის უფლებასთან დაკავშირებული საქმე განხილული იყოს საჯარო მოსმენით და ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, ასევე, გაასაჩივროს მის უფლებასთან დაკავშირებული აქტი, დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით. შესაბამისად, ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ახდენს პირის აღნიშნული შესაძლებლობების შეზღუდვას, წარმოადგენს ჩარევას სამართლიანი სასამართლოს უფლებაში. ამდენად, სადავო ნორმით ხდება ჩარევა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტით დაცულ სფეროში, ვინაიდან სასამართლოს უპატივცემულობისათვის პირის სასამართლო დარბაზიდან გაძევება და დაჯარიმება ხდება ზეპირი მოსმენისა და გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლების გარეშე.

მოპასუხის მიერ ლეგიტიმურ მიზნად ასევე დასახელებულია მიმდინარე სასამართლო პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილება და მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელება. პროცესის მონაწილის მიმართ გაძევების და დაჯარიმების ღონისძიების გამოყენება ვარგისი საშუალებაა ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ზეპირი სხდომის ჩატარება ხელს უწყობს დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას. მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების და მტკიცებულების წარდგენა ეხმარება სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება კი შემდგომში შესაძლებელს გახდის მისი გასაჩივრების შესაძლებლობას. როდესაც არ ტარდება ზეპირი მოსმენა, მაღალია სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების რისკი. სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა არის ძალიან ზოგადი ცნება. შესაძლოა უპატივცემულობად იქნეს მიჩნეული დაცვის სტილი და ტაქტიკა, მხარის უნებლიე ქცევა ან საუბრის მანერა. აქედან გამომდინარე ზეპირი სხდომაზე მხარეს უნდა ჰქონდეს თავისი ქცევის განმარტების შესაძლებლობა. ზეპირი სხდომის ჩატარების აუცილებლობა არსებობს მაშინ, როცა საჭიროა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. იმ შემთხვევაში, როცა ფაქტები დადგენილია და საჭიროა მხოლოდ მათი იურიდიული შეფასება, საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, არ არსებობს ზეპირი სხდომის ჩატარების აუცილებლობა, ვინაიდან მოქმედებს პრინციპი „jura novit curia“ („სასამართლომ იცის კანონი“).

მოცემულ შემთხვევაში, გაძევებამდე ან/და ჯარიმის დაკისრებამდე უნდა დაგინდეს ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარემ სასამართლოს მიმართ გამოავლინა უპატივცემულობა. ამ გარემოების დასადგენად კი აუცილებელია ზეპირი სხდომის ჩატარება დაინტერესებული პირის მონაწილეობით. ამასთან გასათვალისწინებელია ის ზიანი რაც მხარემ შეიძლება მიიღოს ზეპირი სხდომის ჩატარებლობით, მხარე (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი, მათი წარმომადგენლები) კარგავს მოცემული ინსტანციის სასამართლო სხდომაში მონაწილეობის შესაძლებლობას. თუკი მხარეს არ ექ-

ნება სხდომაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ის ვერ დაიცავს თავის ინტერესებს. თუ გაძევებულია მხარე და პროცესზე რჩება მისი წარმომადგენელი, მხარე მოკლებული იქნება ადვოკატის ქცევის კორექტირების შესაძლებლობას. ამგვარად, ზეპირი სხდომის გარეშე გაძევების გადაწყვეტილების მიღება შეიცავს შეცდომის დაშვების საფრთხეს, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მხარის ინტერესს. ამგვარად ზეპირი მოსმენის უფლების შეზღუდვას ვერ გადაწონის საქმის დაჩქარებული განხილვის და მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების ინტერესი. შესაბამისად, ზეპირი სხდომის ჩატარების აკრძალვა არღვევდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

რაც შეეხება გასაჩივრების უფლებას, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ერთი მხრივ, წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან თვითნებობის თავიდან აცილების მექანიზმს და მოსამართლეს უბიძგებს, თავიდან აიცილოს შესაძლო შეცდომები, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამასთან, როდესაც პირის მიმართ გამოყენებულია სანქცია მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, არსებობს გასაჩივრების მომეტებული ინტერესი. ამასთან გაძევების და დაჯარიმების გასაჩივრება ვერ შეაფერხებს ძირითადი საქმის განხილვას, ვინაიდან საჩივარი განიხილება ცალკე წარმოების სახით. ამის გამო მხარის სხდომის დარბაზიდან გაძევების და დაჯარიმების გადაწყვეტილების გასაჩივრების აკრძალვა არღვევს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

46. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/4/532,533, 2014)

ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს არ აქვთ უფლება, ქმედუუნარობის აღდგენის მიზნით მიმართონ სასამართლოს. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილი მათ ართმევთ შესაძლებლობას, უშუალოდ წარმოადგინონ საკუთარი თავი სასამართლოში ქმედუუნარიანობის საკითხის განხილვის პროცესში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავდა პირთა წრეს, რომელთაც უფლება ჰქონდათ, პირის ქმედუუნარიანობის აღდგენის მიზნით, მიემართათ სასამართლოსთვის. ამ ჩამონათვალში არ იყო გათვალისწინებული თავად ქმედუუნაროდ აღიარებული პირი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს შესაძლებლობას ართმევდა, დამოუკიდებლად, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე წამოეწყო ნებისმიერი სამოქალაქო სამართალწარმოება, მათ შორის, ქმედუუნარიანობის აღდგენის სამართლებრივი პროცესი და მიეღო მასში მონაწილეობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე სადავო ნორმა ზღუდავდა სამართლიან სასამართლოზე უფლებას. ქმედუუნარიანობის აღსადგენად საერთო სასამართლოსათვის მიმართვა მიზნად ისახავდა იმას, რომ ადამიანს განეხორციელებინა თავისი სამოქალაქო უფლებები დამოუკიდებლად. ამგვარად, ქმედუუნარო პირს სასამართლოსათვის მიმართვის შეზღუდვით ვერ იცავდა თავის უფლებებს.

ქმედუნარო პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნად თავდაპირველად დასახელდა თავად ქმედუნარო პირის ინტერესების დაცვა, კერძოდ ის, რომ მან თავისი გაუაზრებელი ქმედებით არ დააზიანოს თავისი ინტერესები. თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს არ არის შეუძლებელი პროცესი, ქმედუნარო პირს არ უწევს სხვასთან პაექრობა და თანაც მოგვიანებით იარსებებს სასამართლოს მიერ თუნდაც შეცდომით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა, ქმედუნარო ადამიანის დაცვა ვერ გამოდგება შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად.

მეორე ლეგიტიმურ მიზნად შეიძლება დასახელდეს სასამართლოების გადატვირთვა დაუსაბუთებელი განცხადებებისგან. ეს ინტერესი არის ღირებული ლეგიტიმური მიზანი, თუმცა ინტერესების დაბალანსების ეტაპზე, სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ინტერესი ვერ გადაწონის სამართლიან სასამართლოს უფლებას, თუ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა მაღალია და ადამიანს გააჩნია განსაკუთრებული სამართლებრივი ინტერესი - მიმართოს სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუნარო პირის ინტერესთან - ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს სიკეთით - განაცხადა, რომ ექსპერტის დასკვნას, რომ პირს დაუბრუნდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ფასდება სხვა მტკიცებულებებთან კავშირში. ქმედუნაროდ ცნობილი პირის პროცესში მონაწილეობა მოსამართლეს დაარწმუნებს ან ექსპერტიზის დასკვნის სანდოობაში ან პირიქით, მის საეჭვო ხასიათში. ქმედუნაროდ ცნობილ პირთან გასაუბრება მოსამართლეს წარმოდგენას შეუქმნის, რამდენად გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა. სასამართლოსათვის მიმართვა და ქმედუნარიანობის აღდგენა დამოკიდებული ხდება მეურვესა ან ოჯახის წევრზე. ეს გარემოება კი ქმნის თვითნებობის მომეტებულ საფრთხეს, ვინაიდან პირის ქმედუნარობა მეურვესთვის უკავშირდება პირის ქონების მართვასა და სარგებლის მიღებას. ამიტომ მეურვე, შესაძლებელია, არც იყოს დაინტერესებული, დროულად შეწყდეს ადამიანის ქმედუნარობა. ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვის ლეგიტიმური მიზანი ვერ გადაწონის ქმედუნაროდ ცნობილი პირის ინტერესს - მიმართოს სასამართლოს და მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში საკუთარი სამოქალაქო უფლებების განხორციელების აღდგენასთან დაკავშირებით. ამგვარად, სადავო ნორმებმა დაარღვიეს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

47. მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/2/579, 2015)

ამ საქმეში სადავო იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. მოსარჩელე მხარე ყურადღებას ამახვილებდა სიტყვებზე „ამ კოდექსით“. ეს სიტყვები მიუთითებდა, რომ დაუშვებელი იყო მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, სხვა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, მოსარჩელის აზრით, დასაშვები იყო, სადავო ნორმის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება და განაცხადა, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ეხება ამ კოდექსის დარღვევით მოპოვებულ

ბულ მტკიცებულებებს და არსებობს რეალური შესაძლებლობა, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი სამართალშემფარდებლის მიერ გამოყენებულ იქნეს იმ შინაარსით, რომელსაც მოსარჩელე მხარე ხდის სადავოდ. სადავო ნორმის ასეთი შინაარსი გამომდინარეობს კანონის ისტორიული განმარტებიდანაც. კერძოდ, 1998 წლის სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილი აღგენდა, რომ „კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მტკიცებულებების დაუშვებლობა მხოლოდ „ამ კოდექსით“ შემოიფარგლა.

საქმეზე, სპეციალისტის სახით, მოწვეულმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსმა დაადასტურა, რომ დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდა სხვა ნებისმიერი აქტის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, თუმცა იქვე განაცხადა, რომ სასამართლო ასეთ მტკიცებულებას არ გამოიყენებს საქმის არსებითად გადაწყვეტისას და, ამდენად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების რისკი არ არსებობს. სხვაგვარად, სპეციალისტის აზრით, განაჩენი კანონიერი ვერ იქნებოდა, თუ ის ნებისმიერი კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს დაეფუძნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა სპეციალისტის მოსაზრება და აღნიშნა, რომ სასამართლოს განაჩენი ვერ ჩაითვლება უკანონოდ, თუ მოსამართლე დაეყრდნო სსსკ-ით დასაშვებად ცნობილ, მტკიცებულებებს. ამასთან ნაფიცი მსაჯულები ვერ მოახდენენ დასაშვებად ცნობილი იმ მტკიცებულებების იგნორირებას, რომელიც საპროცესო კოდექსის გარდა სხვა კანონის დარღვევით არის მოპოვებული.

მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოსათვის წარდგენის უფლება არა აქვთ დაზარალებულს, მოწმეს და ექსპერტს. ეს უშუალოდ ბრალდების ან დაცვის მხარემ უნდა გააკეთოს. შესაძლოა მტკიცებულება ექსპერტმა სხვა საკანონმდებლო აქტის დარღვევით მოიპოვა, მაგრამ ის გადასცა ბრალდების ან დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დაცვით. სადავო ნორმით ასეთი მტკიცებულება დასაშვებია, თუმცა არა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტში ჩაწერილ სიტყვა „მოპოვებას“ აქვს ავტონომიური შინაარსი. ამ კონსტიტუციური დებულებით დადგენილი გარანტია ემსახურება მტკიცებულებების მოპოვებისას ყველა საკანონმდებლო მოთხოვნის განუხრელ დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური დაცვა გავრცელდება მხოლოდ კონკრეტულ ეტაპზე ან მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებზე და არა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელიც მოიპოვებს მტკიცებულებას, წარმოიშობა თვითნებობისა და კონსტიტუციური გარანტიის არაეფექტიანობის საფრთხე. ამგვარად, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტი მარტო დაცვისა და ბრალდების მხარისაგან არ მოითხოვს კანონის დაცვით მტკიცებულების მოპოვებას, ის მიემართება ყველა სახელმწიფო ორგანოს. კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის გარანტია მაშინაც კი მოქმედებს, როცა ჯერ გამოძიება არც კია დაწყებული.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ცალკეული მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვების წესებს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებშიც. მაგალითად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს სახალხო და-

მცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები აღგენენ გარკვეულ რეგულაციებს, რომლებიც ეხება საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. მაგალითად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის თანახმად, თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები კონფიდენციალურია. მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია.“ სადავო ნორმა არ გამორიცხავს ამგვარი წერილების უკანონო გახსნით მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედების ჩადენისათვის შესაბამის მოხელეს შესაძლოა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ასევე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რატომ გახდა აუცილებელი კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადების კონსტიტუციური გარანტიის დაწესება. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არასაკმარისი შემაკავებელი ფაქტორი იყო სახელმწიფო ორგანოებისათვის, მტკიცებულებების მოპოვების მიზნით არ დაერღვიათ კანონი. მტკიცებულების დაუშვებლად გამოცხადება არის სტიმული სამართალდამცავი ორგანოებისათვის და სხვა პირებისათვის, რომ ისინი თავს შეიკავებენ კანონის დარღვევისაგან.

გარდა შიდა კანონმდებლობის დარღვევისა, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სადავო ნორმა ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას (მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ დანაშაულის პროვოკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას), საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ეს ნორმა ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს არ მოიპოვონ მტკიცებულებები კონვენციის მოთხოვნების დარღვევით.

საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს გამონაკლის შემთხვევებში უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას, თუკი ამით არ ხდება ადამიანის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა და მოპოვებული მტკიცებულება სანდოა. ამის მიუხედავად, სადავო ნორმით ზოგად წესს წარმოადგენდა ის, რომ დასაშვები იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდა ნებისმიერი სხვა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება. ეს წესი არ იყო გამონაკლისი. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტს.

48. ერასტი ჯაკობია და კარინა შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N3/5/768,769,790,792, 2016)

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნორმები, რომლებიც ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისთვის საჭირო კვორუმს. საკონსტიტუციო სასამართლომ გა-

ნაცხადა, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს დაცვის გარანტიები ვრცელდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოზეც. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ნორმა, რომლის მიხედვითაც, ორგანული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისათვის პლენუმს ესაჭიროებოდა 6 ხმა. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ პირის უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოში მოითხოვოს ორგანული კანონის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, დაცულია კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ორგანული კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია ადამიანის უფლება - საკონსტიტუციო სასამართლომ მის საქმეზე მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრი და კონსტიტუციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია მინიმუმ 6 წევრის თანხმობა, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას მხარს უჭერს სასამართლოს 5 წევრი, ხოლო წინააღმდეგია 4 წევრი, სარჩელი არ დაკმაყოფილდება და საბოლოოდ მიიღება ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს უჭერს სასამართლოს უმცირესობა. ასეთი გადაწყვეტის პირობებში მაღალია ალბათობა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს არასწორ გადაწყვეტილებას. ამავე დროს, გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია და აღქმა საზოგადოების მხრიდან. ცხადია, საზოგადოებას ნაკლები ნდობა ექნება იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომლის მიღებასაც არ ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ თუ ორგანული კანონი არეგულირებს სისტემური მნიშვნელობის საკითხს, მისი არაკონსტიტუციურად ცნობისათვის მართლაც საჭირო გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა. ამის მიუხედავად, ყველა ორგანული კანონი არ არეგულირებს მხოლოდ სისტემური მნიშვნელობის საკითხებს. მაგალითად, შრომითი ურთიერთობები წესრიგდება ორგანული კანონით. შრომის უფლების მნიშვნელობის მიუხედავად, ეს არ არის სისტემური მნიშვნელობის საკითხი. ამის გამო, ზოგადად, გამონაკლისების გარეშე, ორგანული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისათვის კვალიფიციური უმრავლესობის ხმების მოთხოვნა აზიანებს სწორი გადაწყვეტილების მიღების ინტერესებს და წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

ამ საქმეზე ასევე გასაჩივრებული იყო ის, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით სადავო ნორმის შეჩერებას ახდენდა მხოლოდ პლენუმი. სადავო ნორმა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს შესაძლოა მიაღწეს მყისიერი და გამოუსწორებელი ზიანი. ნორმის შეჩერებას სჭირდება კოლეგიის მხრიდან საქმის პლენუმისათვის გადაცემა, რითაც საქმის განხილვა ჭიანურდება და მოსარჩელე კიდევ უფრო მეტად უახლოვდება მყისიერ და გამოუსწორებელ ზიანს. ამ საქმეში მოსარჩელე მხარე დავობდა იმაზე, რომ ირდევოდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება სასამართლოს მიერ საქმის დროულ განხილვაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი ამ ნაწილშიც დააკმაყოფილა და განაცხადა: საქმის გონივრულ ვადებში განხილვის სტანდარტები დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვას ხმარდება იმაზე მეტი დრო, ვიდრე ეს ამისათვის ობიექტურად არის საჭირო და ეს იწვევს უფლების შეუქცევადი დარღვევის რისკებს. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ საკითხის გადაწყვეტა ხდება შემდეგნაირად: თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, საკითხი განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ნორმის მოქმედების შეჩერებისა და საქმის პლენუმისათვის გადაცემის საკითხის განხილვამდე ვალდებულია, შეაფასოს თავად კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი, რაც კონსტიტუციური სარჩელების მოცულობისა და მათში წარმოდგენილი სამართლებრივი საკითხების სირთულის გათვალისწინებით, ასევე საკმაოდ დროს მოითხოვს და ეს კიდევ უფრო აყვავებს ნორმის მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, სადავო ნორმით შემოთავაზებულია პროცედურა, რომლის მიხედვითაც ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხის განხილვა ფაქტობრივად ხდება ორჯერ - კოლეგიისა და პლენუმის მიერ. ერთი და იგივე საკითხის ორჯერ განხილვა ჯერ კოლეგიისა და შემდგომ პლენუმის მიერ არ შეესაბამება საქმის ეფექტური განხილვის სტანდარტს და გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვს იმაზე მეტ დროს, ვიდრე ეს ობიექტურად არის საჭირო. შესაბამისად, ამ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სასამართლოს მიერ საქმის დროული განხილვის უფლების დარღვევა. შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კოლეგიის მიერ განსახილველ საქმეზე პლენუმის უფლებამოსილება - მიეღო ნორმის შეჩერების გადაწყვეტილება. ისევე როგორც ორგანული კანონის შემთხვევაში, ნორმის შეჩერების შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო კვალიფიციური უმრავლესობის ხმებით გასაჩივრებული ნორმის შეჩერების შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერით ყოველთვის ისეთი ნორმები არ ჩერდება, რომელიც სისტემური მნიშვნელობის საკითხებს აწესრიგებს, შესაბამისად, არ არსებობს კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერის აუცილებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად სცნო შემთხვევა, როცა ერთ მოსამართლეს ჰქონდა საქმის კოლეგიიდან პლენუმისათვის გადაცემის უფლებამოსილება. ეს საქმე კოლეგიას დაუბრუნდებოდა, თუ პლენუმის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა ამას გადაწყვეტდა. თუ კვალიფიციური უმრავლესობის ხმები არ მოგროვდებოდა, საქმე პლენუმს დარჩებოდა განსახილველად. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიმეორა არგუმენტი, რომ კვალიფიციური უმრავლესობის ხმების მოთხოვნა აჩენს არასწორი გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს. ვინაიდან გადამწყვეტია უმცირესობის პოზიცია. ამ ნაწილში დადგინდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

49. დავით მაღანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/7/779, 2018)

ამ საქმეში საია ასაჩივრებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე და 272-ე მუხლების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმების მიხედვით, როცა დადგენილებას იღებდა ადმინისტრაციული ორგანო, 10 დღის ვადაში ეს დადგენილება საჩივრდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება ამ საქმეზე იყო საბოლოო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. სააპელაციო გასაჩივრებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ისეთი საქმეები, როცა ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმებზე პირველად გადაწყვეტილებას იღებდა პირველი ინსტანციის სასამართლო.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, არამედ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრის შეტანის უფლებასაც.“ სასამართლოზე წვდომის უფლება მოიცავს ადამიანის შესაძლებლობას მიმართოს საერთო სასამართლოს ყველა ინსტანციას. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას საერთო სასამართლოთა სისტემაში, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ამავე სისტემის ზემდგომ ინსტანციაში. ამგვარად, სადავო ნორმები ზღუდავდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ უფლებას.

უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა. ეს ლეგიტიმური მიზნები საკონსტიტუციო სასამართლომ ღირებულად მიიჩნია. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და ნაკლებად მზღუდავი საშუალება. ამის მიუხედავად, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა არ აკმაყოფილებდა ვიწრო გაგებით პროპორციულობის მოთხოვნებს.

პროპორციულობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: ყველა საქმეზე სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დადგენა მნიშვნელოვნად გააუარესებს ზემდგომი სასამართლოების საქმიანობის ეფექტურობას. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ყველა შემთხვევაში, თავისთავად ვერ გადაწონის სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის უმნიშვნელოვანეს ინტერესს. ამდენად, კანონმდებელი უფლებამოსილია, შეზღუდოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ორ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება მხოლოდ მაშინ, თუ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადამოწმების განსაკუთრებული ინტერესი არ გააჩნია. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრება დასაშვებია უნდა იყოს მაშინ, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ინტენსიურად იზღუდება ადამიანის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ადამიანის უფლება ინტენსიურად იზღუდება მაშინ, როცა მისთვის მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება. მძიმე სამართალდარღვევა კი ისეთია, რაზეც გათვალისწინებულია პატიმრობა. ქმედება მძიმე სამართალდარღვევის კვალიფიკაციას

არ კარგავს, როცა ქმედება ითვალისწინებს პატიმრობას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ პირის მიმართ პატიმრობა კი არა ჯარიმა ან სხვა სახდელის ზომა გამოიყენოს. ამ შემთხვევაში პირი ითვლება მძიმე სამართალდარღვევაში პასუხისმგებლობაში მიცემულად, იმის მიუხედავად, რომ მას პატიმრობა არ ჰქონია შეფარდებული. სწორედ ასეთი სახის ქმედებებზე დაკისრებული ჯარიმები და სხვა არასაპატიმრო სახდელები შეიძლება საჩივრდებოდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. მაგალითად საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც შინაგან საქმეთა ორგანოები უფლებამოსილნი არიან, სახდელის სახით, თავად შეუფარდონ ჯარიმა ან მართვის უფლების შეჩერება (123-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში) ან ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მიზნით, პირი წარადგინონ სასამართლოში. სასამართლოს განმარტებით, პირის ლეგიტიმური ინტერესი - გაასაჩივროს გადაწყვეტილება, დამოკიდებულია ქმედების სიმძიმეზე, რომლის ჩადენისთვისაც იქნა პირი სამართალდამრღვევად ცნობილი და არა იმაზე, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი საჩივარი იქნება გამოყენებული მის მიმართ.

როცა ერთი ინსტანციის სასამართლოები განსხვავებულად განმარტავენ ნორმებს, ასეთ შემთხვევაში სააპელაციო წესით გასაჩივრება უნდა იყოს დაშვებული, მიუხედავად სამართალდარღვევის სიმძიმისა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აპელაციის დაუშვებლობა იმ პირობებში, როდესაც ერთი ინსტანციის სასამართლოები ნორმებს განსხვავებულად განმარტავენ, სააპელაციო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე უარის თქმას უთანაბრდება. ამ პირობებში, ფაქტობრივად, სახეზეა კანონის განმარტებისა და გამოყენების კრიზისული სიტუაცია, რომლის გამოსწორების ყველაზე ეფექტური გზა არის აპელაცია. სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვის არგუმენტი ვერ გაამართლებს გასაჩივრების შეზღუდვას იმ პირობებში, როდესაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო. ზოგადად, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მთავარი მიზანია მისი ფუნდამენტური ფუნქციის ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფა და არა პირიქით, ამ ფუნქციებზე უარის თქმა.“

50. ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/12/1229, 1242, 1247, 1299, 2018)

** ამ საქმეში საია წარმოადგენდა მოსარჩელე გვანცა გაგნიაშვილის ინტერესებს.*

ამ საქმეში სადავო იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი მე-5 და მე-6 ნაწილი. მე-5 ნაწილის თანახმად: გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა, პირის დაზარალებულად ცნობის განცხადებაზე ზემდგომი პროკურორის უარი არ საჩივრდება სასამართლო წესით. მე-6 ნაწილის თანახმად, დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ყველა კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში ერთგვარადაა საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სასამართლოში - მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. მოსარჩელე ასაჩივრებდა იმას, რომ პროკურორის უარი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის საქმეში პირის დაზარალებულად ცნობაზე არ საჩივრდებოდა სასამართლოში. ამასთან თუკი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის საქმეში პირს ადრე ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი, თუმცა მოგვიან-

ბით დადგენილებით პროკურორმა პირს ეს სტატუსი გაუუქმა, სავარაუდო დაზარალებულს ერთმოდა ამ დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ინსტრუმენტული ხასიათის არის და იცავს ნებისმიერი სიკეთის, მათ შორის, კანონით მინიჭებული უფლებების დაცვის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში იზღუდება დაზარალებულის კანონით მინიჭებული უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვის შესაძლებლობა. თუკი პირს არ მიანიჭებენ დაზარალებულის სტატუსს ან ჩამოართმევენ მას, ის ვერ გაეცნობა, მის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის შესახებ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს. ეს კი სწორედ კანონით მინიჭებული უფლებაა, რომლის დასაცავადაც ადამიანს კონსტიტუცია ანიჭებს სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. ამრიგად, სახეზეა ინტერესი, რომლის დასაცავადაც პირს სურს, მიმართოს სასამართლოს და ღონისძიება, რომელიც მას ართმევს ამის შესაძლებლობას. ზემდგომი პროკურორისთვის საჩივრის წარდგენა არ იყოს სასამართლოსათვის მიმართვის ალტერნატივა. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება იზღუდებოდა.

შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა., რაც სასამართლომ ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია. ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეებში პირის დაზარალებულად ცნობაზე სასამართლოსათვის მიმართვის აკრძალვა იყო გამოსადეგი და ნაკლებად მზღუდავი (აუცილებელი) საშუალება პროცესის ეკონომიურობის და სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა არ პასუხობდა, ვიწრო გაგებით, პროპორციულობის მოთხოვნებს.

ვიწრო გაგებით, პროპორციულობის ეტაპზე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველად უნდა გაერკვია რამდენად მნიშვნელოვანია ის უფლება, რის დაცვასაც პირი ვერ ახერხებს სასამართლოს წინაშე და რა ინტენსივობის ზიანს მიაყენებს პირის ინტერესს პროკურორის მიერ დაშვებული შეცდომა. დაზარალებულის სტატუსზე უარის თქმის შედეგად, პირი ვერ სარგებლობს შემდეგი უფლებებით: გაეცნოს საქმის მასალებს, მიიღოს ინფორმაცია განხორციელებული საპროცესო ღონისძიებების შესახებ, ისარგებლოს განრიდებით, მედიაციით, მონაწილეობა მიიღოს საპროცესო შეთანხმების დადებაში, გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება. არასრულწლოვანი დაზარალებულები დამატებით სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით. ამრიგად, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირს კანონმდებელი აღჭურავს არაერთი უფლებით, რომელთა ხელმისაწვდომობაც მხოლოდ ამ სტატუსის მოპოვებითაა შესაძლებელი. დასახელებული უფლებების დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია და დანაშაულისგან დაზარალებული პირი უნდა იყოს დაცული, რომ პროკურორის გადაწყვეტილებით, არამართლზომიერად არ შეეზღუდოს კანონით მინიჭებული უფლებები და გარანტიები.

იმისათვის, რათა დამყარდეს სამართლიანი ბალანსი სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზანსა და დაზარალებულის სამართლიანი სასამართლოს

უფლებას შორის, უნდა დადგინდეს დაზარალებულის მიერ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში, რა სირთულის საქმის განხილვა მოუწევს სასამართლოს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. აღნიშნული კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი. პირის დაზარალებულად ცნობის საკითხის გადასაწყვეტად დგინდება დანაშაულის ფაქტისა და პირის მიმართ მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანის არსებობა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, როგორც წესი, არ გამოირჩევა კომპლექსურობით და ყველა შემთხვევაში სადავო არ ხდება. შესაბამისად, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ განსაკუთრებით მაღალი იქნებოდა ამ კატეგორიის საქმეების განხილვის შედეგად სასამართლოს გადატვირთვის რისკი. ამასთან, სასამართლოში დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე ან ჩამორთმევაზე დავა არ წარმოადგენს პროკურორის დისკრეციას. პროკურორი ვალდებულია პირი ცნოს დაზარალებულად, როცა ამის კანონით გათვალისწინებული საფუძველი არსებობს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დამყარებული სამართლიანი ბალანსი ერთი მხრივ, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის ინტერესსა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის. ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული ნორმები კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია.

51. ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/3/1263, 2019)

ამ საქმეში სადავო იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება საჩივრდებოდა მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. მოსარჩელე ირაკლი ხვედელიძე თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 9 ივნისის სამართალდამრღვევად ცნო და დააკისრა ჯარიმა 250 ლარის ოდენობით. ირაკლი ხვედელიძეს დადგენილების სამოტივაციო ნაწილი გაეგზავნა მისი მიღებიდან მე-12 დღეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის დადგენილებით, ირაკლი ხვედელიძის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ საჩივრის ავტორს დადგენილება უნდა გაესაჩივრებინა მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, დადგენილების დასაბუთებული ნაწილი მხარეს გადაეცემა მისი მიღებიდან სამი დღის ვადაში. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს ვადა დაარღვია, რის გამოც ირაკლი ხვედელიძემ ვერ განახორციელა სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება.

ირაკლი ხვედელიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების 10 დღიანი ვადის ათვლას ითვალისწინებდა დადგენილების გამოტანიდან, სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარებიდან და არა იმ მომენტიდან, როცა მხარეს ჩაბარდებოდა დადგენილების დასაბუთებული ნაწილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, სადავო ნორმით განსაზღვრული წესი ადგენდა გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის ხელშეშლელ ბარიერებს, კერძოდ, პირს ართმევდა შესაძლებლობას, გასაჩივრების ვადის გასვლამდე გასცნობოდა დასაბუთებულ დადგენილებას, მისი შინაარსის მიხედვით გადაეწყვიტა, სურდა თუ არა გასაჩივრება და წარედგინა არგუმენტირებული/დასაბუთებული საჩივარი. სასამართლოს დასაბუთებული დადგენილების გაცნობის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხება პირის სამართალდამრღვევად ცნობას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. დასაბუთებული დადგენილების გაცნობისას პირი იღებს ინფორმაციას იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დადგენილება. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის პროცესისათვის ბარიერის დაწესებას. შესაბამისად, იზღუდებოდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტი - ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით უფლების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა.

შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია, სამართალდარღვევებზე დროული და სწრაფი რეაგირება, სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი და დროული გამოტანა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ უადრესად მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალი, რომ გამოყენებული შემზღუდველი საშუალება არ იყო გამოსადეგი სამართალდარღვევის პრევენციის, მასზე დროული და სწრაფი რეაგირების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამის მიზეზია ის, რომ სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში პირს უწევს სააპელაციო სასამართლოში დაუსაბუთებელი საჩივრის წარდგენა. შემდეგ ელოდება დასაბუთებული დადგენილების ჩაბარებას, რათა დაუსაბუთებელ საჩივარს დაურთოს ფაქტობრივად ხელახალი დასაბუთებული საჩივარი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების დასაბუთებულობის და კანონიერების შემოწმება. სააპელაციო სასამართლო დავას სრულყოფილად ვერ გადაწყვეტს მანამ, სანამ არ გაეცნობა არგუმენტირებულ სააპელაციო საჩივარს და თავად დასაბუთებულ დადგენილებას. სააპელაციო სასამართლო იძულებული ხდება, დაელოდოს როგორც დასაბუთებული დადგენილების მიღებას, ისე საჩივრის ავტორის პოზიციის წარმოდგენას დადგენილების კანონიერების თაობაზე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო აპელანტს უგვიანებს დასაბუთებული დადგენილების ჩაბარებას. სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება ვერ დააჩქარებს სააპელაციო საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესს. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ემსახურება სამართალდარღვევებზე დროულ და სწრაფ რეაგირებას. ამის გამო ამ საქმეზე დადგინდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

52. გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N2/1/1289, 2021)

მოსარჩელე გიორგი ბერუაშვილი მსჯავრდებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს არასრულწლოვანის დაყოლიებას ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე. ამ დანაშაულის ჩადენა გამოიხატებოდა იმაში, რომ გიორგი ბერუაშვილმა არასრულწლოვანთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ამ დანაშაულების ჩასადენად ჯგუფში არასრულწლოვანის ჩართვისთვის გიორგი ბერუაშვილის ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით. გიორგი ბერუაშვილის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების გამამტყუნებელი განაჩენი ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში არასრულწლოვანის ჩართვაზე ძალაში დატოვა. გიორგი ბერუაშვილის საქმესთან ერთად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა სხვა საქმე, რომელიც ასევე ეხებოდა სრულწლოვანი პირის მიერ არასრულწლოვანის დაყოლიებით ყაჩაღობის დანაშაულის ჩადენას. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ სრულწლოვანი მსჯავრდებულის გამამტყუნებელი განაჩენიდან ამორიცხა დანაშაულის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეში განაცხადა, რომ ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენაში არასრულწლოვანის დაყოლიება ნიშნავს ისეთი ქმედების ჩადენას, რაც დანაშაულს არ წარმოადგენს. ასეთ ანტისაზოგადოებრივ ქმედებად უზენაესმა სასამართლომ დაასახელა არასრულწლოვანის დაყოლიებას ალკოჰოლის მოხმარებაში, თამბაქოს მოხმარებაში, მის აზარტულ საქმიანობაში. უზენაესმა სასამართლოს აზრით, ვინაიდან განსახილველ საქმეში სრულწლოვანმა არასრულწლოვანი დანაშაულის ჩადენაში დაიყოლიეს, ეს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო.

გიორგი ბერუაშვილმა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით, სადაც ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი იყო ბუნდოვანი და არღვევდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებს

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: საერთო სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია პასუხისმგებლობის დამდგენი ზოგადი ნორმების შინაარსის აღქმის გამარტივებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრის პროცესში. სასამართლოს ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ ამა თუ იმ ნორმის შინაარსთან დაკავშირებით, სასამართლოს ერთგვაროვანი, დროის მნიშვნელოვან პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკის არსებობა, ამ ნორმიდან მომდინარე პასუხისმგებლობის განჭვრეტადობის საუკეთესო ინდიკატორია. იმ პირობებში, როდესაც ქმედების ჩადენამდე პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ამა თუ იმ შინაარსით გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს, პირი ვერ მიუთითებს, მათ შორის, ზოგადი ტერმინებით ფორმულირებულ ნორმასთან მიმართებითაც კი, პასუხისმგებლობის დაკისრების განუჭვრეტელ ხასიათზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლოს პრაქტიკაში პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის არაერთგვარად, ურთიერთსაწინააღმდეგოდ განმარტება/გამოყენება მისი განუჭვრეტლად მიჩნევის ყველაზე ცხადი საფუძველია.

საერთო სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ახლებურად განმარტება, თუნდაც ერთგვაროვანი პრაქტიკის შეცვლა, თავისთავად, ვერ იქნება მიჩნეული კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებად. ბუნებრივია, სასამართლოს უნდა

ჰქონდეს დაშვებული შეცდომების გამოსწორების ან/და, ზოგადად, სამართლის განვითარების მიზნით, სასამართლოს არსებული პრაქტიკის გადახედვის შესაძლებლობა. აღნიშნულის მიუხედავად, შეცვლილი პრაქტიკა არ შეიძლება იმ პირის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, ვის საქმეშიც ეს პრაქტიკა შეიცვალა. სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნიდან გამომდინარე ამ პირს არ ექნებოდა იმის მოლოდინი, რომ სასამართლო პრაქტიკას შეცვლიდა. ხსენებული წესიდან გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როდესაც სამართლის ნორმიდან ესა თუ ის აკრძალვა იმდენად ნათლად გამომდინარეობდა, რომ პირისათვის იგი განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო სასამართლოს განსხვავებული პრაქტიკის პირობებშიც კი. საერთო სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების არსებული პრაქტიკის საწინააღმდეგო ახლებური განმარტებები შესაძლებელია, ვალიდური იყოს მხოლოდ სამომავლო ურთიერთობების მიმართ და არა იმ მიმდინარე საქმეში, სადაც ეს ახალი პრაქტიკა დადგინდა.

ამასთან საერთო სასამართლოებს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების გამოყენებისას არა აქვთ იმგვარი თავისუფლება როგორც სხვა ტიპის ნორმების გამოყენებისას. სასამართლოს ევალება ზოგადი ტერმინების ვიწროდ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასარგებლოდ განმარტება. როდესაც პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა იძლევა რამდენიმე ალტერნატიული განმარტების შესაძლებლობას, სასამართლოს ძირითადი ვექტორი განმარტების პროცესში უნდა იყოს ზოგადი ნორმის პირის სასარგებლოდ განმარტება.

ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა სამი ალტერნატიული მიდგომა, როცა ნორმის განუჭვრეტელი ხასიათის გამო კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის დარღვევა დადგინდება და ესენია: ა. როდესაც სადავო ნორმასთან/მის რომელიმე ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით არსებობს საერთო სასამართლოების ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები; ბ. როდესაც ხდება საერთო სასამართლოების დადგენილი პრაქტიკის შეცვლა და სადავო ნორმის ახლად იდენტიფიცირებული ნორმატიული შინაარსის გავრცელება მის განმარტებამდე ჩადენილ ქმედებებზე; გ. როდესაც სადავოა მისი რომელიმე ნორმატიული შინაარსი, რომელიც საერთო სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ზედმეტად ფართო, წინასწარ განუჭვრეტელი განმარტების შედეგია.

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ბერუაშვილის საქმეზე სახეზე იყო „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განჭვრეტადობის მოთხოვნების დარღვევა, კერძოდ, ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლო ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსით განმარტავდა 171-ე მუხლს. საკონსტიტუციო სასამართლომ შეისწავლა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც დადგინდა, რომ უზენაესი სასამართლოს 2005 წლის განჩინებით, არასრულწლოვანის დაყოლიება ქურდობაზე ჩაითვალა ანტისაზოგადოებრივ ქცევად. 2006 წლის 23 თებერვლის განჩინებით, ქურდობაში არასრულწლოვანის დაყოლიება კვლავ ჩაითვალა ანტისაზოგადოებრივ ქცევად. იმავე წლის ივნისის თვეში მიღებულ განჩინებაში, უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ ანტისაზოგადოებრივ ქმედებად ჩაითვლება ისეთი ქცევა, რაც დანაშაულს არ წარმოადგენს. ამ საქმეში არასრულწლოვანის ჩაბმა ქურდობაში არ იქნა მიჩნეული ანტისაზოგადოებრივ ქცევად. 2007 წლის 6 ივნისის №23-412აპ.-07 განჩინებაში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ ანტისაზოგადოებრივ ქმედებად მიიჩნია არასრულწლოვანის ჩაბმა ძარცვასა და ქურდობაში, ხოლო 2008 წლის 3 იანვრის №23-909აპ.-07 განჩინე-

ბაში კვლავ მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადი ქმედება არ არის არასრულწლოვანი პირის ჩაბმა დანაშაულში.

უზენაესი სასამართლოს ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა საკმარისი იყო, საკონსტიტუციო სასამართლოს დაედგინა, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლომ შენიშნა, რომ ერთმანეთის პარალელურად არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები და არ მომხდარა რომელიმე მათგანის დაძლევა, პრაქტიკის შეცვლა დადგენილი წესის შესაბამისად. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში არასრულწლოვანის დაყოლიება მოიაზრებდა დანაშაულის ჩადენას, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

53. გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/8/926, 2022)

ამ სარჩელში გასაჩივრებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.“ მოსარჩელე მხარე დავობდა იმაზე, რომ ტერმინი „პორნოგრაფია“ (იგულისხმებოდა სრულწლოვანის მონაწილეობით სექსუალური შინაარსის შემცველი მასალა) არ იყო განჭვრეტადი და ამით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნები.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერმინი „პორნოგრაფია“ ბუნდოვანი და შესაბამისად, არაკონსტიტუციური იყო. გაურკვეველია, როგორი სექსუალური სცენები ჩაითვლება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად - პორნოგრაფიად, და რა ჩაითვლება ეროტიკად, რომლის ნახვის ლეგიტიმური უფლება შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტული მასალის პორნოგრაფიად მიჩნევა დამოკიდებული ხდება ხელოვნებათმცოდნის დასკვნაზე. რის გამოც, იქმნება იმის საფრთხე, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები ერთმა ხელოვნებათმცოდნემ პორნოგრაფიად მიიჩნიოს, სხვამ - არა. იმავდროულად, რა ჩაითვლება პორნოგრაფიად, დამოკიდებულია მოსამართლეზე. შესაძლოა, ერთი და იგივე ვიდეომასალა ერთმა მოსამართლემ პორნოგრაფიულად მიიჩნიოს და მისი გავრცელებელი ორი წლით ციხეში გაუშვას, სხვა მოსამართლემ კი იგივე მასალა პორნოგრაფიად არ მიიჩნიოს და ბრალდებული გაამართლოს. ამის მიზეზია ის, რომ არ არსებობს არც ერთი კანონი, რომელიც განსაზღვრავდა, რას ნიშნავს პორნოგრაფია. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის წესით პორნოგრაფიის აკრძალვა იყოს კონსტიტუციური, კანონმა დეტალურად უნდა განსაზღვროს ის ტექნიკური საშუალებები, რომლის გამოყენებითაც ინტერნეტში პორნოგრაფიული მასალა არ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი არასრულწლოვანებისა და იმ სრულწლოვანებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ ამ მასალის ნახვის სურვილი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება

ეხება სრულწლოვანთა პორნოგრაფიას. ბავშვთა პორნოგრაფიის ამკრძალავი ნორმები ცალკეა გამოყოფილი სისხლის სამართლის კოდექსში და ის მოსარჩელეს არც კი გაუსაჩივრებია. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხზე არც კი უმსჯელია და ბავშვთა პორნოგრაფიის ამკრძალავი ნორმები სრულყოფილი ფორმით კვლავაც ძალაშია.

54. გიორგი ფუტყარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N1/4/1597, 2025)

ამ საქმეში მოსარჩელე გიორგი ფუტყარაძის საკუთრებაში ჩატარდა ჩხრეკა. ჩხრეკის დაწყების მომენტში გიორგი ფუტყარაძისათვის არ გადაუციათ ჩხრეკის შესახებ სასამართლოს განჩინება. განჩინება მან გამოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოდან და იგი გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლოდან განჩინების მიღების მომენტისათვის უკვე გასული იყო 48 საათიანი ვადა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ვადის დარღვევით შეტანილი საჩივარი არ დააკმაყოფილა. გიორგი ფუტყარაძემ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ჩხრეკის შესახებ განჩინების გასაჩივრების 48 საათიანი ვადა აითვლება არა ამ განჩინების იმ პირისათვის ჩაბარების მომენტიდან, რომლის საკუთრებაშიც ჩატარდა ჩხრეკა, არამედ - ჩხრეკის დასრულების მომენტიდანვე. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვეოდა.

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული წესი განსაზღვრავს გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის დამაბრკოლებელ ბარიერს. ჩხრეკის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად განჩინების აღსრულების განსაზღვრის გამო, პირი მოკლებულია გონივრულ შესაძლებლობას, გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის გასვლამდე გაეცნოს განჩინებას და შემდგომ გადაწყვიტოს სურს თუ არა განჩინების გასაჩივრება და მოამზადოს დასაბუთებული საჩივარი. სწორედ ამიტომ, სადავო ნორმა ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მნიშვნელოვან უფლებრივ კომპონენტს – ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, საჩივრის შეტანის გზით, უფლების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას. შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა პროცესის გადატვირთვისგან დაცვა, მისი ეფექტიანად მიმდინარეობა, პროცესის ეკონომიურობა და დროითი რესურსის დაზოგვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არ იყო გამოსადეგი საშუალება დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ჩხრეკა მთავრდება ჩხრეკის ოქმზე ხელმოწერის მომენტიდან. სწორედ აქედან აითვლება გასაჩივრების 48-საათიანი ვადა. ამ დროს შესაძლოა ჩხრეკას დაქვემდებარებულ პირს არ ჰქონდეს სასამართლოს განჩინება და არ იცოდეს ის, რამდენად დასაბუთებული ან კანონიერია ეს განჩინება. ამის მიუხედავად, იმისათვის, რომ ჩხრეკას დაქვემდებარებულმა პირმა არ გაუშვას გასაჩივრების 48-საათიანი ვადა, ის წარადგენს დაუსაბუთებელ საჩივარს სააპელაციო სასამართლოში. საჩივრის დაუსაბუთებლობის გამო, სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების სისწორე. სააპელაციო სასამართლო ელოდება, როდის ჩაჰბარდება მომჩივანს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება

და როდის წარადგენს მომჩივანი დასაბუთებულ საჩივარს. გასაჩივრების 48-საათიანი ვადის ათვლა ჩხრეკის დასრულების მომენტიდან, არ ემსახურება სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

მოპასუხემ კიდევ ერთ ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა სასამართლოს დროითი რესურსის დაზოგვა. მოპასუხის თქმით, ისედაც გადატვირთულმა სასამართლომ დრო არ უნდა დაკარგოს მხარისათვის ჩხრეკის შესახებ განჩინების ჩაბარებაში. მხარემ თვითონ უნდა მოიპოვოს ამგვარი დოკუმენტი. ამ არგუმენტს საკონსტიტუციო სასამართლომ უპასუხა, რომ თუ მხარე ჩხრეკის დასრულებიდან 48 საათში ვერ მოიპოვებს ამ დოკუმენტს და ისე გაასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლო მაინც იქნება ვალდებული განიხილოს ეს საჩივარი და დაელოდოს იმას, როდის მოიპოვებს აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას. სადავო ნორმით არ ხდება სააპელაციო სასამართლოს დროის დაზოგვა და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს დრო იზოგება იმით, რომ აპელანტი მისგან განჩინების მიღებას მოითხოვს. ამგვარად, არც დროის დაზოგვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის გამოსადეგი სადავო ნორმა. ამგვარად, ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.